საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცურება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 10 აგვისტო. 2016 წ. №147 (8039), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

მატყუარა ნაციონალებო, სასწრაფოდ შეწყვიტეთ სახელმწიფო ინტერესების ხელყოფა!

⑥



⑥

თუ ტრამპმა გაიმარჯვა, პუტინი მას საქართველოზე უარის თქმას მოსთხოვს

შოთა ზოიძე

რომან რურუას გულიდან ამოხეთქილი დარდისა და ვარამის გამო

③



არც ერთ მევენახეს ჩაუბარებელი ყურძენი არ დარჩება!

⑧

④

ვაპატიებდი, ყველაფერს ვაპატიებდი, რომ ამ პატიებას ნაცების გაუგონარი გათავხედება არ მოჰყოლოდა

2012-ში არავინ არ იცოდა, თუ როგორ დასრულდებოდა არჩევნები, გარანტია გამარჯვებისა არავის არ ჰქონდა, რას მოიმოქმედებდა ნაცმოძრაობა წაგების შემთხვევაში, არავინ არ იცოდა — ნაცებისგან ხომ ყველანაირი სისაძაგლე იყო მოსალოდნელი (ქვების და ტყვიების სროლა, დაპატიმრებები და ცემით სიკვდილის პირამდე მიყვანა, სამსახურის დაკარგვა და ციხეებში წამება), მაგრამ არანაირ საშიშროებას არ შეეპუა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი და თავი გადასდო (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით!) მის გასამარჯვებლად, „ოცნებამ“კი ასეთი ერთგული ხალხი ჩააჩოჩა, და მათ ნაცვლად კანგამოცვლილი ნაცები და ნაცების აშკარა მხარდამჭერები დაიახლოვა!

გიგა ოთხოზორიას ოჯახს სახლი გადაეცა

მთავრობის გადაწყვეტილებით დევნილთა და განსახლების სამინისტრომ სოფელ ხურჩაში, საოკუპაციო ხაზის გამშვებ პუნქტთან მოკლულ გიგა ოთხოზორიას 7-სულიან ოჯახს ზუგდიდის ცენტრში სახლი შეუსყიდა.

დევნილთა და განსახლების მინისტრი სოზარ სუბარი და სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ლევან შონია ოთხოზორიების ოჯახს ესტუმრნენ და საცხოვრებელი სახლის საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა გადასცეს.

გიგა ოთხოზორიას ოჯახმა, რომელიც ამ დრომდე ქირით ცხოვრობდა, ზუგდიდის ცენტრში არსებული კერძო სახლი საკუთარი სურვილის მიხედვით შეარჩია. ახალ სახლში გადასვლისთვის საჭირო ტრანსპორტირების ხარჯები ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობამ დაფარა.

დღის ფრაზა

ხალხო, ცრასაზე დანაჩანჯლიან აზრას თუ დაინახავთ, რეხცთრანი არ გეგონოთ, დავით ბაქრაძე რაყსებს ებრძვის და წინასაარჩევნო კამპანიას ეწევა.

ირაკლი კალანდაძის ნახატი

პატრიარქი რაჭაში

სრულიად **საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოფლის მეურნეობის მინისტრთან ოთარ დანელიასთან და ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, ონის რაიონის სოფელ შარდომეთში მდებარე ქართულ-შვეიცარიული კომპანიის „ბლაუენშტაინ საქართველო“ მესაქონლეობის ფერმაში იმყოფებოდა.**

ქართულ-შვეიცარიული კომპანიის ხელშეწყობით, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის სოფლებში აშენდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმები, რომლებიც სახელმწიფო შეღავათიანი აგროკრედიტით სარგებლობენ. მეცხოველეობის ფერმებში ხელოვნური განაყოფიერების გზით მაღალპროდუქტიული შვიცისა და სიმენტალის ჯიშებით ადგილობრივი კავკასიური წაბლა ჯიშის ძროხების გენეტიკური გაუმჯობესება ხორციელდება. აღნიშნული ჯიშის საქონლის წონა 800-1100 კგ-მდე აღწევს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ და კომპანიის ხელმძღვანელმა ირაკლი კერვალიშვილმა საქართველოს პატრიარქს რეგიონში მესაქონლეობის თანამდროვე ფერმების მნიშვნელობაზე მიაწოდეს ინფორმაცია.

„ქართულ-შვეიცარიული კომპანიის საქმიანობა არის მოდელი, რომელიც გვინდა, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით გამოვიყენოთ, განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში; საუბარია ისეთი გენეტიკის მეცხოველეობაზე, რომელიც აქამდე საქართველოში არ იყო“, — განაცხადა ოთარ დანელიამ. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ადგილობრივი მოსახლეობა დალოცა, გაწეული საქმიანობისთვის სოფლის მეურნეობის მინისტრსა და ქართულ-შვეიცარიული კომპანიის ხელმძღვანელს ჯვრები უსახსოვრა და წარმატებები უსურვა. კომპანიამ „ბლაუენშტაინ საქართველო“ საერთო ჯამში 15 მლნ ლარზე მეტი ინვესტიცია განახორციელა და უკვე 600-მდე მსხვილფეხა პირუტყვს ფლობს. კომპანიაში კი 100-მდე ადგილობრივია დასაქმებული.

სამუშაო ჯგუფი თავდაცვისუნარიანობის გასაზრდელად

საქართველოს პრეზიდენტი თავდაცვის მინისტრს შეხვდა. შეხვედრაზე გიორგი მარგველაშვილმა და ლევან იზორიამ ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის ამაღლების და ნატოსთან მომავლი თანამშრომლობის დეტალები განიხილეს.

საქართელოს პრეზიდენტის და თავდაცვის მინისტრის შეხვედრას ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი ირინა იმერლიშვილი ესწრებოდა.

„ვისაურეთ იმაზე, თუ როგორ ვიმუშაოთ ერთობლივად, რათა ჩვენი ჯარის თავდაცვისუნარიანობა უფრო გაიზარდოს. ამისთვის დავგეგმეთ სამუშაო ჯგუფის შექმნა. ახლო მომავლში ეს ჯგუფი ინტენსიურად იმუშავებს სტრატეგიაზე, რომელსაც ახლო მომავლში საზოგადოებას წარვუდგენთ“, — განაცხადა იზოროამ.

დოკუმენტი ყოფილი ხელისუფლების მიერ ჩარეცხილი პენსიონერებისთვის

პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ მმართველი გუნდის გეგმაზე — „მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის შესახებ“ ისაუბრა და განაცხადა, რომ მიმდინარეობს ერის აქტიური დაბერების პროცესი, რასაც სწორი პოლიტიკა და სწორი მართვა სჭირდება. დიმიტრი ხუნდაძის განცხადებით, 60-იანი წლების მონაცემებით, ქვეყანაში ჭარბობდა ბავშვთა რაოდენობა, ხოლო დღეს არის პირიქით, ხანდაზმულ პირთა რაოდენობა ჭარბობს ბავშვთა რაოდენობას.

„რამდენიმე თვის წინათ ჩვენ პარლამენტში დადგენილების სახით, დაბერების პოლიტიკის დოკუმენტი მივიღეთ. გამომდინარე იქიდან, რომ ერის დაბერების აქტიური პროცესი მიმდინარეობს, ასაკით პენსიონერთა რაოდენობა ყოველთვიურად იზრდება, რისთვისაც საჭიროა სწორი პოლიტიკის შემუშავება. ყოფილმა ხელისუფლებამ ხელი ჰკრა და ჩარეცხილებიც კი უწოდა პენსიონერებს. ჩვენ მათ დასაცავად შევქმენით დოკუმენტი, რომელიც გულისხმობს იმას, რომ მაქსიმალურად უნდა იქნას ასაკით პენსიონერთა უფლებები დაცული, უნდა შეიქმნას მაქსიმალურად უსაფრთხო გარემო, უნდა მოხდეს საზოგადოებაში მათი სრული ინტეგრაცია, ასევე დასაქმების კუთხით გამოყენებულ უნდა იქნას მათი ინტელექტუალური რესურსი და გამოცდილება, უნდა დარეგულირდეს თაობათაშორისი ურთიერთობა, ჯანდაცვითი პროექტები მეტად უნდა იყოს მორგებული მათ საჭიროებებზე. დასაქმების კუთხით იქნება გადამზადების პროექტი, სადაც მოხდება მათი პროფესიული გადამზადება, რადგან ადამიანს შეიძლება აქვს მისი ძირითადი პროფესია, რომლის განხორციელება ხანდაზმულობის პერიოდში მისთვის შეუძლებელია. რა თქმა უნდა, ეს არ მოხდება იმის ხარჯზე, რომ თუკი პირი სოციალურად დაუცველია, მას სოციალურად დაუცველის სტატუსი ან საპენსიო განაკვეთი მოეხსნას. სამართლიანი იქნება, რომ შეღავათები დაწესდეს არამხოლოდ მათთვის, არამედ დამსაქმებლისთვისაც, თუკი ისინი პენსიონერთა დასაქმებას შეუწყობენ ხელს“, — განუცხადა ჟურნალისტებს დიმიტრი ხუნდაძემ.

„საია“-ს საჩივარი სააკაშვილის წინასაარჩევნო კამპანიაში სავარაუდო ჩართვასთან დაკავშირებით არ დაკმაყოფილდა

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ საჩივარი უცხო ქვეყნის მოქალაქის მიხეილ სააკაშვილის წინასაარჩევნო კამპანიაში სავარაუდო ჩართვასთან დაკავშირებით, ბათუმის 79-ე ოლქმა არ დააკმაყოფილა.

მათი გადაწყვეტილებით, სააკაშვილი არ არის საქართველოს მოქალაქე, არ იმყოფება საქართველოში და მის მიერ საარჩევნო კოდექსით აკრძალული ქმედების განხორციელება ვერ გახდება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებისა და სამართალდარღვევის ოქმის შედგენის საფუძველი. საიამ ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვად შეაფასა „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შეხვედრაზე საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ვიდეომიმართვა, სადაც ექსპრეზიდენტმა და ოდესის ოლქის გუბერნატორმა მოსახლეობას მხარდაჭერის თხოვნით მიმართა. „საიას“ საჩივრის არსებითად განხილვაზე უარი თქვა აჭარის უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ იმ მოტივით, რომ „უსკო“ უფლებამოსილი არ არის იმსჯელოს აღნიშნულ საკითხზე, ხოლო ჯერ არ გამოქვეყნებულა ცესკო-ს დასკვნა, რომელსაც „საიამ“ ასევე მიმართა.

სიძე-პატარძლისათვის ბეჭდის ჩუქება მოსყიდვას უტოლდებაო...

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძის განცხადებით, 6 აგვისტოს ბეშუმში გამართულ შუამთობის ტრადიციულ დღესასწაულზე ნეფე-პატარძლისთვის ოქროს ბეჭდის გადაცემა — არანაირ დარღვევას არ წარმოადგენს.

ამის შესახებ პატარაძემ არასამთავრობო ორგანიზაცია სამართლიანი არჩევნების მიერ გაკეთებული განცხადების კომენტირებისას აღნიშნა, რომლის მიხედვით, ბეშუმის დღესასწაულზე ახლადდაქორწინებულებს პრემიერ-მინისტრმა ბრლიანტის ბეჭედი გადასცა, ხოლო ზურაბ პატარაძემ ოქროს ბეჭედი.

ორგანიზაციაში მიიჩნევენ, რომ პრემიერ-მინისტრისა და აჭარის მთავრობის თავმჯდომარის მიერ ამომრჩევლებისათვის საჩუქრების გადაცემის ფაქტი შეიცავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის, ან სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, რაც დამოკიდებულია საჩუქრების ღირებულებაზე.

„ტრადიციულად ნეფე -პატარძალს ყოველთვის გადასცემდა გამგეობა საჩუქარს, ეს იყო გათვალისწინებული გეგმიური თანხით, რომელიც ჩადებული იყო ბიუჯეტში. ამ გეგმის თანახმად იყო გადაცემული მუნიციპალიტეტთან ერთად ეს საჩუქარი და ჩვენ ვერანაირ დარღვევას ვერ ვხედავთ“, — განაცხადა პატარაძემ.

ბურჯანაძის პარტია ხელმოწერების შეგროვებას იწყებს

„ნინო ბურჯანაძე — დემოკრატიული მოძრაობის“ მთავარი საბჭოს წევრებმა, საქართველოს პარლამენტში კონსტიტუციური კანონის პროექტი დაარეგისტრირეს, რომელიც საქართველოსათვის უბლოკო სტატუსის მინიჭებას ეხება.

„ეს არის ნაბიჯი, რომლითაც შეიცვლება საქართველოს რეალობა და ქვეყანა გადადგამს განვითარების სწორ და ახალ ნაბიჯებს. „ნინო ბურჯანაძე — დემოკრატიული მოძრაობა“ უახლოეს დღეებში დაიწყებს ხელმოწერების შეგროვებას და დარწმუნებულები ვართ, რომ საჭირო ორასი ათას ხელმოწერაზე ორჯერ მეტს შევაგროვებთ და ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე, ჩვენი პოლიტიკური ძალა შევა ძალიან დიდი რაოდენობის მოქალაქეების მხარდაჭერით და ინიციატივით, რომ საქართველომ შეცვალოს ის დაჭაობებული და ჩამყაყებული 25-წლიანი პოლიტიკა, რომელსაც აქამდე ჰქონდა ადგილი. ჩვენ დავიწყებთ პრობლემების რეალური მოგვარების, დიალოგის, დიპლომატიის და სახელმწიფოებრივი პოლიტიკური გადაწყვეტილებების სრულიად ახალი, რეალური განვითარების ეტაპს“, — განაცხადა გიორგი ახვლედიანმა.

ე. წ. კაბელების საქმეზე სარჩელები იცვლებოდა

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ეკა ბესელიას განცხადებით, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებმა ე.წ კაბელების საქმეზე სარჩელის შეცვლის საკითხზე არსებული ეჭვები პრაქტიკულად დაადასტურეს.

ამის შესახებ ბესელიამ საკონსტიტუციო სასამართლოს სამი მოსამართლის კონსტანტინე ვარძელაშვილის, ქეთევან ერემაძისა და მაია კოპალეიშვილის მიერ გავრცელებული განცხადების კომენტირებისას აღნიშა, რომელშიც მოსამართლეებმა აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით

პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ გაკეთებული განცხადებები ცალკეული მოსამართლეების დისკრედიტაციად შეაფასეს.

„ჩვენ ვართ მოპასუხე ამ სარჩელებში, ასეც რომ არ იყოს, პოლიტიკოსებს აუკრძალო გამოხატონ თავიანთი კრიტიკული მოსაზრება — ეს არის პირდაპირ დარღვევა კანონის. მათ პრაქტიკულად დაადასტურეს, რომ სარჩელები იცვლებოდა და დაურეგისტრირებელი სარჩელები ხდებოდა მოსამართლეებთან, რაც არის წარმოუდგენელი და მართლაც არის სკანდალური ფაქტი“, — განაცხადა ბესელიამ.

აჭარაში ორი „სოციალური სახლის“ მშენებლობა დასრულდება

თამარის დასახლებაში ახალი სოციალური სახლის მშენებლობა დასკვნით ეტაპზეა. საცხოვრებელი კომპლექსი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დაკვეთით შენდება.

პროექტის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს ზურაბ პატარაძეს და აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს რამაზ ბოლქვაძეს შპს „დაგის“ დირექტორი ირაკლი ჭეიშვილმა მიაწოდა. სოციალური სახლი 10-სართულიანია. შენობაში 58 ბინა განთავსდა. მშენებლობის პროცესში კომპანიის განცხადებით ჯამში 400 ადამიანი დასაქმდა. პროექტის ღირებულება დაახლოებით 3 მილიონი ლარია. საცხოვრებელი სახლი უკვე აშენებულია. დასკვნით ეტაპზეა გარე ფასადის მოწყობისა და ლიფტის მონტაჟის სამუშაოები. მიმდინარეობს ინტერიერის სამღებრო სამუშაოები. იწყება ეზოს კეთილმოწყობა, რაც საცხოვრებელი კორპუსის გარშემო ასფალტის საფარის დაგებას ითვალისწინებს.

„სოციალური სახლის „მშენებლობა 2015 წლის ივლისში დაიწყო და 2016 წლის 31 აგვისტოს დასრულდება. დასკვნით ეტაპზეა კიდევ ერთი სოციალური სახლის მშენებლობა დაბა ხულოში, ვაშლოვანის დასახლებაში. პროექტის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს ზურაბ პატარაძეს და აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს რამაზ ბოლქვაძეს შპს „ალიგატორი 1“-ის დირექტორმა ჯემალ გორგაძემ მიაწოდა.

75-ბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დაკვეთით შენდება. ტერიტორიაზე სულ სამი 6-სართულიანი შენობა განთავსდა.

რომან რურუას გულიდან ამოხეთქილი დარდისა და ვარამის გამო

ციკლიდან „წერილები მაგნოლიების ქალაქიდან“

შეძრული ვარ დღევანდელ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ქართული გაზეთის ფურცლებზე თქვენ მიერ დაბეჭდილი ჩვენი ქვეყნის საამაყო შვილის რომან რურუას სტატიით. ამ გულიდან ამოხეთქილმა დარდმა და ვარამმა, სინამდვილესთან თვალის გასწორებამ, იმის აღიარებამ, რომ ყველა ვაი ჩვენივე ჭკუისაგან გვჭირს და ხშირად ჩვენი უბედურების მიზეზებს სხვაგან ვეძებთ. ბატონი რომანი ამბობს: **„თითქოს მარტო ვიდექი მსოფლიო ტიტანების წინ საჭიდაო ხალიჩაზე, მაგრამ მოწინააღმდეგის კარგად შესწავლა და ქართული სული მამარჯვებინებდა. დაუმარცხებლად დავტოვე საჭიდაო ხალიჩა. წარმატებული ადამიანი ვარ ცხოვრებაშიც, მაგრამ დღევანდელობით მოსვენება მაქვს დაკარგული. მინდა, ვიცხოვორო ზნეობით, ინტელექტით, ბედნიერებით სავსე სამშობლოში“.** ამ სიტყვების ავტორისნაირმა ქართველებმა მოგვიტანეს დიდგორის გამარჯვება. მადლობა უფალს, რომ ძალიან ცოტა, მაგრამ ჯერ კიდევ შემოგვრჩა რომან რურუასთანა ქართველები.

ჩემი გულითადი მადლობა ჭეშმარიტად დიდ კაცს, დიდ ქართველს, დიდ მამულიშვილს ამ შემოძახებისათვის, ამ დამოძღვრისთვისა და გამხნევებისთვის. ბატონი რომანი ბრძანებს: **„არ შეიძლება, დანაშაულია ამ ქვეყანაში ამდენ გონიერ და საქმის გამკეთებელ ადამიანს ხელისუფალთაგან მისჯილი ჰქონდეს უსაქმურობა და ტანჯვაში ცხოვრობდეს“.**

ცამდე მართალია ბატონი რომანი. სააკაშვილმა მოსვლის დღიდან ჩარეცხა უფროსი თაობა, მეცნიერებათა აკადემიას, ინსტიტუტებს, უნივერსიტეტებს გამოაცალა ღირსეული მეცნიერები, ლაბორანტები დოქტორებს გაუთანაბრა, მუსრი გაავლო ავტორიტეტებს, ერისკაცებს, საარსებო საშუალებები წაართვა და კედელთან მიაყენა. ძველ გერუსიაში 60 წლის ასაკამდე არავის აირჩევდნენ. ჩვენი 23-25 წლის ყმაწვილები მინისტრებად ინიშნებოდნენ. ლენინმა 80 წლის აკადემიკოსი დანიშნა ელექტროფიკაციის მინისტრად, რომელსაც მაშინდელ მთავრობაში ყველაზე მაღალი რეიტინგი ჰქონდა. ცოდნა და გამოცდილება დღეს არავის აინტერესებს. მთავარია, გავლილი ჰქონდეს ცერეუს კურსები. ასე გაგვიპრეზიდენტეს ცხვირმოუხოცავი სააკაშვილი.

ბატონი რომან რურუა სამართლიანად მოითხოვს ღირსეული ადამიანების დაფასებას. ბევრიც გაიყიდა, მაგრამ ბევრმაც შეინარჩუნა საკუთარი სახე. რამდენიმე წლის წინათ ერთი ლექსი გამოვაქვეყნე — **„დიდი ხანია, მყიდიან, მაგრამ ვერავინ მყიდულობს“.** ძალიან გამიხარდა, როცა ეს ფრაზა სხვა პოეტების ლექსშიც აღმოვაჩინე. ის კი არ არის მთავარი, ვინ თქვა პირველად, არამედ ყველამ და ერთხმად უნდა ვიყვიროთ და დავგმოთ ჩვენს თვალწინ, ჩვენი ნაშრომის მითვისებით, გაუბედურებული ხალხის ანაბრებით გამდიდრებული ბიზნესმენები და ხელისუფალნი.

არჩევნებიც და ხმებიც რომ ლარივით გაუფასურდა?! გინდ მისულხარ არჩევნებზე და გინდ არა. შედეგი არ იცვლება. კანონმა უნდა დაარეგულიროს გაბერილი ხელფასები. ახლა პრემია-წანამატები მოიგონეს. კანონმდებლობაში აჯაფსანდალია. ჩემზე რომ იყოს, იურისტებს, მექოთნე მოსამართლეებს პარლამენტს არ გავაკარებდი. ისინი ყველა კანონს თავის ქამრებზე ირგებენ. აჭარის უმაღლესი საბჭოს ყოფილ დეპუტატებს კონსტიტუციით ეკუთვნის საპენსიო კომპენსაცია, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრებს, მაგრამ სააკაშვილის პარლამენტმა დაამახინჯა კანონი, ხოლო ჩვენი კონსტიტუციური უფლება დავით უსუფაშვილმა ფეხებზე დაიკიდა. მისმა პარლამენტმა თავი „გამოიჩინა“ პრეზერვატივების კანონით, გადაარჩინა გახრწნილი და ფაშისტური ნაცმოძრაობა, ხოლო 2011 წელს ყველაზე უფრო მაღალრეიტინგული და ნამდვილად სახალხო გაერთიანება „სახალხო კრება“ აღგავა პირისაგან მიწისა. ამის გამო არც ბრიუსელსა და არც ვაშინგტონში, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსზე აღარ ვლაპარაკობ, არავინ შეშფოთებულა. ფაქტობრივად, „სახალხო კრების“ ლიდერები იატაკქვეშეთში აღმოჩნდნენ. სააკაშვილს და უსუფაშვილს რომ დაისვამ ქვეყნის პირველ პირებად, ხალხის ბედი გაშლილ ნარდზე კამათელივით დაგორავს. ეს კიდევ ცალკე საუბრის თემაა. ბატონმა დავით უსუფაშვილმა სპიკერობის 4 წელი ქართველი ხალხის ზურგსუკან სააკაშვილთან, ნაცებთან და მათ ლობისტებთან ფლირტს შეალია და ახლაც დეპუტატობა უნდა. ახლა რომ გაიძახის ჩემი სამშობლო საქართველოა და საქართველოს სამშობლო ევროპაშიაო, საინტერესოა, რომელ უნივერსიტეტში ასწავლეს, გარდა ე.წ. „თავისუფლების ინსტიტუტისა.“ ეს გენიალური აღმოჩენა, რომ ევროპა საქართველოს სამშობლოა, მარტო მას ეკუთვნის თუ მის ნამინისტრალი მეუღლე წაეხმარა? ვაი,საცოდავო საქართველოვ! ეს იგივეა, ნეტარხსენებულმა ჟვანიამ რომ გაგვაოცა, მე ქართველი ვარ, მაშასადამე, მე ვარ ევროპელი! სჯობს, ზღაპრებს თავი დავანებოთ და იქ დავეტიოთ, სადაც ვართ! შევახსენებ ბატონ დავითს, რომ საქართველო ჩემი სამშობლოცაა და ჯერჯერობით, ადამ და ევადან მოყოლებული, კავკასიაში მდებარეობს. ბავშვობაში რომ წაეკითხა, დიდობაშიც არ აწყენდა დუტუ მეგრელის საანთოლოგიო და დედამუხა ლექსი (პოეტ ზაალ ებანოიძის შეფასებაა) — („მე პატარა ქართველი ვარ, კავკასიის მთების შვილი და განცხრომით სხვაგან ყოფნას, მირჩევნია აქ სიკვდილი“), მაშინ ასეთ რამეს არ დაახეთქებდა. ბატონი დავითი რომ საქართველოს შვილია, ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ საქართველო რომ მის შვილებს საქართველოში გვიყვარს და არა პლანეტის ნებისმიერ სხვა კუთხე-კუნჭულში, ესეც ღვთიური ჭეშმარიტებაა. ბატონ რომან რურუას სტატია პასუხიცაა იმ ვაი-ქართველებზე, რომლებსაც სურთ, საქართველო ევროპაში ჩაიტანონ და პირიქით — ევროპა საქართველოში ჩამოიტანონ. სრული უაზრობაა.

ბრძანებლობა პოლიტიკურ ხალიჩაზე

№136. ხუთშაბათი, 26 ივნისი, 2016 წელი.

ავიჩრჩიოთ ადამიანები, რომელებსაც ქართული სული აქვთ, მაგრამ ესმით მსოფლიოს სუნთქვაც!..

გარეთ მეგობრები უნდა ვეძებოთ და არა მხსნელები და პატრონები!

მინდა, ვიცხოვოროთ ბედნიერებით სავსე სამშობლოში!

3

ბატონ რომან რურუას ტატიაზე

ბატონ რომან!

ბატონ ბესიკ!

ბატონ ზაზა!

ბატონ ბესიკ!

ბატონ ზაზა!

ბატონ ბესიკ!

**ბატონ ზაზა

ᲕᲐᲞᲐᲢᲘᲔᲑᲓᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲕᲐᲞᲐᲢᲘᲔᲑᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲞᲐᲢᲘᲔᲑᲐᲡ ᲜᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲒᲝᲜᲐᲠᲘ ᲒᲐᲗᲐᲕᲮᲔᲓᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲛᲝᲰᲧᲝᲚᲝᲓᲐ

ᲫᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲑᲔᲕᲠ ᲠᲐᲛᲔᲡ ᲞᲐᲢᲘᲝᲑᲡ; �თᲣ ᲙᲐᲪᲛᲐ ᲛᲝᲘᲜᲐᲜᲘᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜ — ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲘᲡᲘᲪ ᲤᲐᲥᲢᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡᲐᲪ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲘ!

„ქართულმა ოცნებამ“, ანუ ბიძინა ივანიშვილმა ბევრი რამ გააკეთა (აქ არჩევნების შემდგომ პერიოდს ვგულისხმობ მხოლოდ), რაღაცები — ვერა (ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა არა აქვს — „არა“ თუ „ვერა“, თავისი ნებით თუ სხვისი ზეწოლის გამო), დაპირებული ეკონომიკური აღმავლობა, რომელიც განსაკუთრებით მეოთხე წელს უნდა შეგვეგრძნო, მოსახლეობას არ დასტყობია და მისი სოციალური მდგომარეობა, ფაქტობრივად, არ შეცვლილა. არადა, საყოველთაოდ ცნობილია, რომ გერმანიაში, საბჭოთა კავშირში, ესპანეთში და ჩილეში, დიქტატორების (ჰიტლერი, სტალინი, ფრანკო, პინოჩეტი) ტირანიის ქვეშ „მგმინავ“ ამ სახელმწიფოებში (აზიის ნაკლებად ცნობილ ანალოგიურ შემთხვევებს არ ვეხები) სწორედაც 4-5 წელიწადში ხდებოდა ეკონომიკური სასწაულები! ჩვენთან კი, სასწაული, მათხოვრული პენსიის 20(!) ლარით მატებაში გამოიხატა, ხოლო დაპირებული, ევროპის განმაცვიფრებელი დემოკრატია — სიტყვის თავისუფლებაში (მხოლოდ სიტყვის და, კიდევ — სექსუალურ და ჰომოსექსუალურ თავისუფლებაში!). ასეთ თავისუფლებასთან დაკავშირებით კრილოვის ცნობილი იგავის ერთი მოხდენილი ინტერპრეტაცია მახსენდება: ამ იგავის არსი იმაში მდგომარეობს, რომ **მხოლოდ ყველის დაკარგვის შემდეგ შეიძლება მოიპოვო სიტყვის თავისუფლება!**

მიუხედავად ამისა, ყველა შეუსრულებელ დაპირებას ვაპატიებდი (ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, ცხადია!) ივანიშვილს, ანუ მხოლოდ „ქართულ ოცნებას“ და არა მასთან მიტმასნილ (სათანადო „რეკომენდაციებით“!) რესპუბლიკელებს და თავისუფალ დემოკრატებს — თუ არ გავამართლებდი, ახსნას მაინც მოვუძებნიდი, უზარმაზარ ქველმოქმედებასაც გავითვალისწინებდი (დაუნახავი და უმადური არ უნდა იყო კაცი!) და ჭეშმარიტი ქრისტიანივით მოვიქცეოდი — ჩვენი იმედების გაცრუებას ვაპატიებდი!

მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვი და, რაც აბსოლუტური ჭეშმარიტებაა, ყველაფერს აქვს საზღვარი.

2012 წლის არჩევნებში ივანიშვილის ავტორიტეტით და „პატრიოტთა ალიანსის“ ცნობილი ციხის კადრების გასაჯაროებით დასავლეთში და ამ დასავლეთის იძულებითი(!) თავშეკავების შედეგად (ნაწილობრივი თავშეკავების, რადგანაც „ნაცმოძრაობას“ მაინც დაუწერეს 43(!) %-მდე, მაშინ, როცა ამომრჩეველთა ხმების 20%-იც კი არ მიუღია მას), ქართველი ხალხის გამარჯვების შემდეგ ნაცები, გრძნობდნენ რა თავიანთ 9-წლიან დანაშაულს, ზოგი სად გარბოდა და ზოგიც სად ძვრებოდა, ენა ხომ ყველას მუცელში ჰქონდა ჩაგდებული! ქონებაწართმეული, ნაწამები ხალხი, გაუსამართლებლად დახოცილი ახალგაზრდების, სამხედროების, ცნობილი საზოგადო მოღვაწეების და მეცნიერების ოჯახები და, საერთოდ, მთელი მოსახლეობა (ნაცების ოჯახების გამოკლებით) წინასწარ ზეიმობდა მომავალი სამართლის ტრიუმფს! მაგრამ, ეს იყო საწყისი პერიოდის აღტყინება — როგორც კი ხალხმა დაინახა, რომ ნაცების დანაშაულში თანამონაწილე გამომძიებლებს, პროკურორებს და მოსამართლეებს ბუზიც კი არ აუფრინეს, ილუზიები სწრაფად, პირველივე თვეებში გაქრა. „ქართულმა ოცნებამ“ პრემიერ ივანიშვილის ხელმძღვანელობით ამ ხალხს სრული „კარტ-ბლანში“ მისცა — თქვენ საქმიანობაში არავინ არ ჩაერევა, როგორც გენებოთ, ისე გამოიტანეთ თქვენ ჭკუაზე განაჩენებიო! **მარტო ასეთი პოზიციის დაკავება დამნაშავე, გნებავთ, დანაშაულში ეჭვმიტანილი პროკურორ-მოსამართლეების მიმართ, რომლებსაც ათასობით ადამიანი სდებდა ბრალს, უკვე დანაშაულია, დიდი დანაშაული!** როდის იყო მგელი ცხვრად ქცეულიყო, რომელი მოსამართლე გამოდგებოდა ისეთი ბრიყვი, რომ საკუთარ განაჩენებს არ დაიცავდა და თავს გაიმტყუნებდა. ან, იმის მიხვედრას რა უნდოდა, რომ სურვილის შემთხვევაშიც კი, ვერცერთი მოსამართლე ვერ გაბედავდა და ვერც მომავალში გაბედავს ნაცების 9-წლიანი ნამოქმედარისთვის თავისი სახელის დარქმევას — თითოეულ მოსამართლეზე ნაცებს ხომ უამრავი კომპრომატი აქვთ შეგროვებული და საიმედოდ შენახული. სააკაშვილის დროინდელი მოსამართლეების იმედად ისევ სააკაშვილი და მისი ნაცები არიან დღესაც!

ᲓᲐᲣᲡᲯᲔᲚᲝᲑᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲘᲪᲮᲚᲐ ᲜᲐᲪᲔᲑᲘ — ᲛᲐᲗ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲠᲘᲡᲮᲕᲘᲡ, ᲚᲘᲜᲩᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲗ ᲒᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲨᲘᲜᲝᲓᲐᲗ, ᲜᲔᲚ-ᲜᲔᲚᲐ ᲔᲜᲐ ᲐᲛᲝᲘᲓᲒᲔᲡ ᲓᲐ ᲐᲥᲔᲗ ᲒᲐᲓᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲨᲔᲢᲔᲕᲐᲖᲔ — ᲛᲣᲥᲐᲠᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠ ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲐᲖᲔᲪ, ᲗᲐᲜ, ᲓᲐᲛᲪᲘᲜᲐᲕᲐᲓ ᲔᲜᲐᲡᲐᲪ ᲒᲕᲘᲧᲝᲤᲔᲜ: ᲐᲑᲐ, ᲗᲣ ᲛᲐᲒᲠᲔᲑᲘ ᲮᲐᲠᲗ,

ᲓᲐᲒᲕᲘᲭᲘᲠᲔᲗᲝ! ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲨᲘᲨᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲥᲕᲗ, ᲡᲐᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲝᲓ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐᲡᲐᲪ ᲙᲘ ᲐᲐᲜᲝᲜᲡᲔᲑᲔᲗ, ᲘᲪᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲮᲔᲚᲡ ᲕᲔᲠ ᲐᲮᲚᲔᲑᲗ. ᲗᲣᲙᲘ, „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ-2“ ᲕᲔᲠ ᲩᲐᲛᲝᲐᲠᲗᲕᲔᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲣᲮᲚᲘᲗ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲨᲘ ᲛᲮᲘᲚᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲓᲐᲜ ᲒᲐᲪᲕᲔᲣᲚ ᲔᲥᲡᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡ, ᲓᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲡ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲔᲡ, ᲗᲣᲙᲘ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ ᲜᲐᲪᲔᲑᲘᲡ, ᲕᲔᲠᲪᲔᲠᲗᲘᲡ(!) ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲘᲡᲙᲐᲪᲘᲐ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲑᲔᲓᲔᲡ, ᲓᲐ ᲥᲝᲜᲔᲑᲐᲬᲐᲠᲗᲛᲔᲣᲚᲔᲑᲡ ᲙᲝᲛᲞᲔᲜᲡᲐᲪᲘᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲓᲐᲣᲮᲐᲓᲔᲡ, ᲗᲣᲙᲘ ᲕᲔᲠᲪᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲮᲐᲛᲐᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲝᲗᲮ(!) ᲬᲔᲚᲘᲜᲐᲓᲨᲘᲪ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲕᲔᲠ ᲛᲘᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ, ᲕᲘᲗᲝᲛᲝ, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲕᲥᲝᲜᲓᲔᲡ ᲘᲛᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐᲡ ᲐᲦᲣᲓᲒᲔᲑᲐ ᲬᲘᲜ ᲓᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲔᲚᲩᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲔᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲐ?!

ყველაფერი არჩევნებამდე ერთი წლით ადრე, 2011 წლის ოქტომბერში დაიწყო, როცა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში ჩაერთო და უსუფაშვილალასანიათი დაიმშვენა მხრები. ივანიშვილის ეს „არჩევანი“, მისი ნაადრევად გადადგომაც და ყოველი მომდევნო ნაბიჯიც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ იყო განსაზღვრული! გათვლილი იყო ხელისუფლების დაკომპლექტებაც და ნაცებით გადავსებული სასამართლოების, უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების თავმჯდომარეების და ეროვნული ბანკის მმართველის ადგილებზე დატოვებაც; ამასობაში კი, „ნაცმოძრაობის“ თანდათანობითი რეანიმაცია მოხდებოდა „კოჰაბიტაციის“, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების, სატელიტური პარტიების შექმნის და, ნაცების მთავარი დამრტყმელი ძალის — „რუსთავი-2“—ის სააკაშვილის მფლობელობაში შენარჩუნების გზით.

ყველამ ვიცით, რომ ძალა აღმართს ხნავს, რომ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი ჩვენ კი არა, 45-მილიონიან უკრაინას და სხვა სახელმწიფოებს უნიშნავს მთავრობებს (გავიხსენოთ, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის ვიქტორია ნულანდის და უკრაინაში ამერიკის ელჩის ჯეფრი პაიეტის გახმაურებული სატელეფონო საუბრის აუდიოჩანაწერი, როდესაც ისინი უკრაინის მთავრობას ჯერ კიდევ მაიდნის გადატრიალების დასრულებამდე აკომპლექტებდნენ, ხოლო ქ-ნი ვიქტორია ევროკავშირს უშვერი სიტყვებით მოიხსენიებდა!), მაგრამ, როდესაც შენი ხალხის იოტისოდენა ინტერესების დაცვის თავიც არა გაქვს, როდესაც რუსეთის პრეზიდენტს კი არა, საკუთარ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარესაც ამერიკის ელჩთან მოთათბირების შემდეგ ხვდები, მაშინ უნდა ადგე, დაიხურო ქუდი (კაცობის ქუდი!) და გადადგე, სხვას დაუთმო ადგილი, ეგებ მან გამოიჩინოს მეტი უნარი სახელმწიფოს მართვისა, მეტი დიპლომატიური ნიჭი, მეტი შორსმჭვრეტელობა, მეტი ქვეყნის და ხალხის სიყვარული და, რაც ყველაზე მეტად აკლია დღევანდელ ხელისუფლებას, — მეტი ვაჟკაცობაც (ისევ უკრაინა გავიხსენოთ, როდესაც, მიუხედავად დასავლეთის მხრიდან დაშინება-შანტაჟისა — ვიზალიბერალიზაციას ვერ ეღირსებით, თუ ჩვენ ნებას არ დაყვებით და ანტიდისკრიმინაციულ კანონს არ მიიღებთო, უკრაინის რადამ მაინც ჩააგდო ჰომოსექსუალების გასაჯეჯილებლად მოფიქრებული ეს კანონი, ჩვენ კი ისე ერთხმად დავამტკიცეთ, თითქოს, საქართველოს გამთლიანებას ვაწერდით ხელს!)!

ხალხი მოითმენდა ყველაფერს (და ითმენს კიდეც!) — ეკონომიკურ სიდუხჭირეს, სამართლის არაღდგენასაც — იგი იტყოდა: იმაზედაც მადლობელი ვართ რომ აღარ გვიჭერენ და ქონებას არ გვართმევს ხელისუფლებაო, მაგრამ ძალზე ძნელი საყურებელ-მოსასმენია, როცა ნაცების მოლაპარაკე სახეები წესიერებაზე, საკუთრების ხელშეუხებლობაზე, სამართალზე, და კანონის უზენაესობაზე გველაპარაკებიან!

2012-ᲨᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲐᲠ ᲘᲪᲝᲓᲐ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ, ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, ᲠᲐᲡ ᲛᲝᲘᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲓᲐ ᲜᲐᲪᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲬᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲐᲠ ᲘᲪᲝᲓᲐ — ᲜᲐᲪᲔᲑᲘᲡ�გᲐᲜ ᲮᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲡᲘᲡᲐᲫᲐ�გᲚᲔ ᲘᲧᲝ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ (ᲥᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲪᲧᲕᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲠᲝᲚᲐ, ᲓᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲪᲔᲛᲘᲗ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲧᲕᲐᲜᲐ, ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲠ�გᲕᲐ ᲓᲐ ᲪᲘᲮᲔᲔᲑᲨᲘ ᲬᲐᲛᲔᲑᲐ), ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠ ᲡᲐᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲨᲔᲔᲞᲣᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲭᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲚᲓᲝ (ᲐᲛ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲘ ᲒᲐᲒᲔᲑᲘᲗ!) ᲛᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲚᲐᲓ, „ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲛ“ᲙᲘ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲩᲐᲐᲩᲝᲩᲐ, ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲙᲐᲜᲒᲐᲛᲝᲪᲕᲚᲘᲚᲘ ᲜᲐᲪᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲐᲨᲙᲐᲠᲐ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲭᲔᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲐᲮᲚᲝᲕᲐ!

ეს წამებაა წესიერი ადამიანებისთვის, განსაკუთრებით, იმათთვის, ვინაც 9-წლიანი ჯოჯოხეთი პირადად გამოიარა, თავის თავზე და საკუთარ ოჯახზე იწვნია! როცა შვილების, ქმრების, ძმების, მამების მკვლელებს ნება ეძლევათ აქეთ შემოგვიტიონ, მორალზე და პატიოსნებაზე ლექციები გვიკითხონ ტელეეკრანიდან, სასამართლო დარბაზში შეურაცხყოფა მოგვაყენონ და ფიზიკურადაც შეგვეხონ, ეს არავითარ ნორმაში არ ჯდება, ამის დამშვები ხელისუფლების პატიება კი არაფრით არ შეიძლება!

ᲐᲛᲘᲢᲝᲛ, ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲔᲠᲗᲘᲐ — ᲐᲠᲪ ᲜᲐᲪᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲒᲕᲐᲛᲧᲝᲤᲔᲡ 9 ᲬᲔᲚᲘ, ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲥᲝᲪᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝᲓ ᲘᲡᲔᲕ ᲜᲐᲪᲔᲑᲗᲐᲜ ᲙᲝᲰᲐᲑᲘᲢᲐᲪᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲔᲡ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲣᲠᲡᲐᲓ (ᲝᲦᲝᲜᲓ, ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ — „ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲗᲐᲜᲮᲛᲝᲑᲘᲡ“ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ!), ᲮᲛᲐ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲕᲪᲔᲗ! ᲮᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲕᲪᲔᲗ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲐᲜ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ, ᲜᲐᲚᲓ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ (ᲡᲐᲑᲔᲭᲓᲜᲘᲔᲠᲝᲓ, ᲐᲡᲔᲗᲔᲑᲘᲪ ᲒᲕᲧᲐᲕᲡ). ᲛᲝᲕᲘᲥᲪᲔᲕᲘᲗ ᲐᲡᲔ? ᲛᲐᲨᲘᲜ ᲪᲝᲢᲐᲗᲘ ᲒᲕᲔᲨᲕᲔᲚᲔᲑᲐ, ᲗᲣ ᲐᲠᲐᲓᲐ, ᲘᲒᲘᲕᲔ ᲒᲐᲣᲡᲐᲫᲚᲘᲡᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ, ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲭᲙᲕᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔ ᲒᲝᲒᲝ-ᲑᲘᲭᲔᲑᲘᲡ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ ᲒᲐᲓᲘᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ, ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲯᲐᲛᲨᲘ, ᲘᲥ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲐ (80-90 %-ᲘᲡ!). ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ, ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲑᲔᲠᲓᲔᲑᲐ, ᲒᲐᲓᲐᲨᲔᲜᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ, ᲐᲦᲐᲠ ᲒᲕᲘᲨᲕᲔᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲨᲘ ᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲨᲔᲜᲐ!

რამდენიც არ უნდა ვწეროთ და ვიკითხოთ, რამდენი

საგანგაშო ფრაზებიც არ უნდა დავახვავოთ, სანამ ქართველი ხალხი თავად არ გაარჩევს ავსა და კარგს და, სანამ ისეთი თავდადებული ლიდერი არ გამოჩნდება, ვისაც სამშობლოსთვის უძგერს გული, მანამდე არაფერი არ გვეშველება, როგორც ვიყავით და ვართ დღეს აგერ უკვე 25 წელია, ისევ იმ ყოფაში ვიქნებით მომავალშიც. თუ თავს არ გავაქანებთ და ხელს არ გავანძრევთ, მხოლოდ ღმერთის იმედად ყოფნა არაფერს მოგვცემს. სამწუხაროდ, ხელების მხოლოდ მაღლა აწევა ვიცით (თანაც, შიშველი ხელების, რაც დანებების მაჩვენებელია!), განძრევის კი – რა მოგახსენოთ!

2012-ში არავინ არ იცოდა, თუ როგორ დასრულდებოდა არჩევნები, გარანტია გამარჯვებისა არავის არ ჰქონდა, რას მოიმოქმედებდა ნაცმოძრაობა წაგების შემთხვევაში, არავინ არ იცოდა – ნაცებისგან ხომ ყველანაირი სისაძაგლე იყო მოსალოდნელი (ქვების და ტყვიების სროლა, დაპატიმრებები და ცემით სიკვდილის პირამდე მიყვანა, სამსახურის დაკარგვა და ციხეებში წამება), მაგრამ არანაირ საშიშროებას არ შეეპუა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი და თავი გადასდო (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით!) მის გასამარჯვებლად, „ოცნებამ“კი ასეთი ერთგული ხალხი ჩააჩოჩა, და მათ ნაცვლად კანგამოცვლილი ნაცები და ნაცების აშკარა მხარდამჭერები დაიახლოვა!

აი, ასეთ უმადურობასაც კი დაივიწყებდა, აპატიებდა ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“ მიმტევებელი, ქრისტიანი ქართველი კაცი, და იტყოდა: რაც შეეძლოთ, გააკეთეს, მეტი რა ექნათ (ან, ვინ მისცემდა უფლებას), ნაცების რეჟიმისგან გაგვანთავისუფლეს, თავისუფლად და უშიშრად ამოსუნთქვის და ცხოვრების საშუალება მოგვცეს, ნელ-ნელა, ალბათ, ეკონომიკურადაც წამოგვაყენებენ ფეხზე, ურმით მომავალი სამართალიც მოაღწევს ჩვენამდე და ა.შ. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ასეთი მომთმენი და მიმტევებელია ქართველი კაცი დღეს, ცოტათი შევიცვალეთ, ცოტათი გადავგვარდით, ბევრიც დაგვაშინეს და გამოგვათაყვანეს „ნატო-ნატოს“ და „ევროპა-ევროპას“ ძახილით! სამაგიეროდ, „მდიდარი სექსით“ ტრაბახი გვასწავლეს, ხოლო ჰომოსექსუალობა მოსაწონ, მისაბაძ „ორიენტაციად“ დაგვისახეს, რუსეთი მტრად გვიქციეს, ხოლო თურქეთი – „ისტორიულ მეგობრად“, ქართველი კაცი წინაპართა მიწიდან გააქციეს, ხოლო თურქ-სელჯუკები, არაბები, ინდოელები, ჩინელები უვიზოდ მოიპატიჟეს! კიდევ ბევრი რამის ჩამოთვლა შეიძლება, მაგრამ ესეც საკმარისია იმისთვის, რისი თქმაც მსურს და, რასაც ვერ ვაპატიებ ვერც ივანიშვილს და ვერც მის „ქართულ ოცნებას“. რაც ჩამოვთვალე და რაც არ მიხსენებია, ყველაფერს აიტანდა, მოითმენდა, დაივიწყებდა, გაგებით მოეკიდებოდა, ახალ-ახალ დაპირებებს და ტყუილებსაც დაიჯერებდა იმედგაცრუებული, გულგატეხილი და გუნებაწამხდარი ქართველი ხალხი, მათ შორის, მეც, იმ შემთხვევაში, თუ ნაცების სახსენებელი არ იქნებოდა საქართველოში, თუ ნაცები ხმაჩაკმედილნი, გასუსულები იქნებოდნენ, თუ ისინი ჩამოშორებულ იქნებოდნენ ხელისუფლებას, სასამართლოს, პოლიციას და ჯარს, თუ მათ ქუჩაში გამოსვლის შიში თუ არა, გამვლელისთვის თვალებში შეხედვის რიდი ექნებოდათ და სირცხვილის გრძნობა შეაწუხებდათ ოდნავ მაინც. მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა ხომ სწორედ ამის მოლოდინში იყო და არა – საპირისპიროსი.

დამნაშავე ნაცების თავხედობის და მხდალი „ქართული ოცნების“ უმოქმედობის შემყურემ, არ შეიძლება თავი ღირსებაშელახულად არ იგრძნო. ესეც რბილად ნათქვამია, ეს სულში ჩაფურთხებაა, ორმაგი ჩაფურთხებაა – ერთი, დამნაშავე ნაცებისგან და მეორე, ასმაგად უფრო მტკივნეული, იმ ხალხისგან, ვისაც დავუჯერეთ და გავყევით უკეთესი მომავლისთვის ბრძოლაში!

დიახ, ყველაფერს აქვს საზღვარი, ყველაფრის პატიება არ შეიძლება – „ქართული ოცნების“ უსუსურობის და უპრინციპობის პატიება, რასაც ნაცების გაუგონარი გათავხედება მოჰყვა, არაფრით არ შეიძლება!

იაკობ ლეჟავა.

P. S. -ის მაგივრად:

ყველაფრით დაღლილს სანატრელად სიკვდილი დამრჩა,
რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება,
რადგან არარამ შეიფერა ძვირფასი ფარჩა,
რადგან სიცრუე ერთგულების გახდა თვისება,
რადგან უღირსებს უსამართლოდ დაადგეს დაფნა,
რადგან მრუშობით შელახულა უმანკოება,
რადგან დიდებას სამარცხვინოდ უთხრიან საფლავს,
რადგან ძლიერი დაიმონა კოჭლმა დროებამ,
რადგან უწმინდეს ხელოვნებას ასობენ ლახვარს,
რადგან უვიცი და რეგვენი ბრძენობს ადვილად,
რადგან სიმართლე სისულელედ ითვლება ახლა,
რადგან სიკეთე ბოროტების ტყვედ ჩავარდნილა.
ასე დაღლილი ამ ქვეყნიდან გაქცევას ვარჩევ,
მაგრამ არ მინდა, ჩემი სატრფო ობლად რომ დარჩეს...

შექსპირი, 66-ე სონეტი, თარგმნა
რეზო თაბუკაშვილმა

◎ მე რომ უფლება მქონდეს...

დანაშაულებრივი აზროვნების აღზევება

ამ ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს რომ ვუსმენ და ვუყურებ, ტვინი დუღდება, როცა დებატების საგანი ერთსქესიანთა ქორწინების საკითხი ხდება. ხალხი კი შიმშილით იხოცება და გამკითხავი არავინაა. ბატონებო, ძლიერნო ამა ქვეყნისა, გრძნობთ თუ არა რამდენად პრიმიტიულები ხართ, როდესაც ეს საკითხი გამოგაქვთ სამსჯავროზე? თქვენ ელემენტარული ადამიანის საკუთრება ვერ გაგითავისებიათ და უბრალო ჭეშმარიტებას ვერ აცნობიერებთ: თუ გაქვთ რამეზე (უაღრესად დიდზე) უფლება, ჯერ დაიცავით სხვისი კანონიერი საკუთრება და ნუ გადაგაქვთ თქვენი ძალისხმევა ისეთ სივრცეში, რომელიც ადამიანის განხილვის საგანი ვერ იქნება, რამდენადაც ამ მოვლენის შვილი (ნაშიერი) თვითონაა ადამიანი. ბუნების და, შესაბამისად, სიცოცხლის კანონი ვერ იქნება ვერავითარი კონფესიის, ხალხების ან უძლიერესი სახელმწიფოს ხელმისაწვდომი, ამ კანონის შექმნაში ადამიანს არ მიუღია მონაწილეობა. ჯერ კიდევ ამოუხსნელია, როგორ, რა ვითარებაში ან ბოლოს და ბოლოს როდის მოხდა სიცოცხლის წარმოშობა დედამიწაზე. მეცნიერება ყველაფერს ხსნის გარდა ერთისა, სიცოცხლის წარმოშობის და მისი განვითარების კატაკლიზმებს.

ბატონებო, ძლიერნო ამა ქვეყნისა, თქვენ იდავეთ და იჩხუბეთ (როგორც ეს დამკვიდრებულია თქვენს სამყაროში), რატომ არის ავაზაკი უგულავა ციხეში და რატომ არ არის მასთან ერთად საერთოდ ქურდული და ყაჩაღური მენტალიტეტის გამფეტიშებელი საკაშვილი. სიცოცხლის კანონი არ არის თქვენი გადასასინჯი. სიცოცხლის კანონი ვერ იქნება საქართველოს ან ნებისმიერი ქვეყნის შიდა ეროვნული ფასეულობა ან ტრადიცია, რამდენადაც ეს ფენომენი მიუწვდომელია ადამიანის ცნობიერებისთვის. მეცნიერებიც კი თანხმდებიან, რომ ეს მოვლენა მათს ცნობიერებას სცილდება. სიცოცხლის კანონი შეუცნობია სიცოცხლის იმ ნაყოფისთვის, რასაც ჰქვია გონიერი ხერხემლიანი, მისი უდიდებულესება ადამიანი.

სიცოცხლის მგმობელნო, აბა, ერთი წარმოიდგინეთ, რომ ეს ბოროტება დამკვიდრდეს საყოველთაო ნორმად (არადა, ეს მოსალოდნელია) ადამიანთა ურთიერთობაში, ხომ გადაგვარდა და მოისპო ადამიანი როგორც ასეთი და დედამიწა გადაიქცევა ისევ პირველყოფილი დინოზავრების და იხტიოზავრების სამყაროდ, რამდენადაც თუ სიცოცხლის წყარომ, ორმა სქესმა არ იარსება თავისი ბუნებრივი მოთხოვნილების ჩარჩოებში, ასეთ შემთხვევაში ხელოვნური განაყოფიერებაც შეუძლებელი გახდება, რამდენადაც ამ პროცესს სჭირდება ბუნებრივი კომპონენტები – კაცის და ქალის ურთიერთობის მთავარი შედეგი. ასეთ შემთხვევაში ერთმანეთთან ურთიერთობის დაკარგვა გამოიწვევს კვდომას მამაკაცისა და ქალის ფუნქციისა. სიცოცხლე ხომ ორსქესიანია, მცენარეებიც კი ორსქესიანია, მოვლენაც ორმუხტიანია, ყველაზე ძლიერი ადამიანთა გამანადგურებელი ბირთვული იარაღიც ორმუხტიანია, საყოფაცხოვრებო დენის ენერგიაც კი ორმუხტიანია, ბუნებაში არ არსებობს არც ერთსქესიანი სიცოცხლე და არც ერთმუხტიანი მოვლენა.

ადამიანისთვის ხელმისაწვდომია ისეთი გლობალური სენი, როგორიცაა ნარკომანია, რომლის წინაშეც ადამიანები ჯერჯერობით უძლურნი ვართ, მიხედეთ ამ საქმეს ფუნდამენტურად. ეს მოვლენა ადამიანის გარჩევადია და თქვენ წარმოიდგინეთ, ამ ელემენტარულ საკითხს ვერ აგვარებს ადამიანი და ეჭიდება მისთვის მიუწვდომელ საკითხთა განხილვას, ამას ყოფით ცხოვრებაში ეძახიან – „ძაღლი შინ არ ვარგოდა და სანადიროდ გარბოდაო“ (სასაცილო შედარებაა ხომ?).

საქართველოს არ აკლია გონიერი ადამიანები, მაგრამ იგი მაინც იძირება ჭაობში მოყელყელავე დამნაშავე ჩინოვნიკების ზეობით. თუ ვინმეს შეგიძლიათ, იბრძოლოთ ამ მანკიერების წინააღმდეგ, მე რომ უფლება მქონდეს, აშშ-ის პრეზიდენტ ობამას წინააღმდეგ სარჩელს აღვძრავდი „კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისთვის“ თუ მართლა მოაწერა ხელი „ერთსქესიანთა ქორწინებას“. მაგრამ ჩემი დაცვეთილი, მონური მენტალიტეტის ხელისუფლება იმისთვის, რომ არ დაკარგოს პირადი კეთილდღეობა, უკან იხევს საკითხის რეფერენდუმზე გატანისგან. რეფერენდუმი, რომელიც რევიზირებას კი არა, ამ უზენაესი სიცოცხლის კანონის დაცვას ემსახურება. ის კი არა, დამნაშავე ორგანიზაციის – ნაცისტური პარტიის აკრძალვის ნაცვლად 2012 წლის ოქტომბერში, ოცნებამ კოჰაბიტაცია ითამაშა ამ ბანდასთან და დღეს იმკის შედეგს თავისი უდიდესი დანაშაულის პასუხად.

ბოლოს მინდა, მოგიწოდოთ ჩემს თანამემამულეებს, განურჩევლად იმისა, ვინ მომწონს და ვინ არა – ნუ ეჭიდებით თქვენთვის მიუწვდომელ საკითხთა გადაწყვეტას, თქვენი საზრუნავია, თქვენი კომპეტენციის და თქვენი გარემოს ფარგლებში იზრუნოთ ადამიანთა ცხოვრების უეკთეს მოწყობაზე, შეეშვით სიძულვილის ენით და სიძულვილით ბოროტების დანერგვას.

სიცოცხლე ბუნების შეუვალი კანონია და ის ხორციელდება ორსქესიანთა ერთობით, სიცოცხლის გმობა უდიდესი დანაშაულია კაცობრიობის წინაშე.

საუკუნეების სიღრმიდან არ ახსოვს საკაცეთს ასეთი უგუნური, დანაშაულებრივი აზროვნების აღზევება. მაშინაც კი, როცა დედამიწაზე ძირითადად გაუნათლებლობა და ადამიანისთვის შეუცნობელი მოვლენების მონობა მძვინვარებდა, ხალხმა მოახერხა ამ ერთსქესიანთა მანკიერების აღკვეთა, რასაც სოდომის და გომორის ცოდვა ჰქვია, ნუ ცდილობთ, რევიზირება გაუკეთოთ სიცოცხლის შეუვალ კანონს, თქვენ მოუარეთ ნარკომანიას, ეს ცოდვა განკურნებადია და საერთოდ აღკვეთეთ ადამიანური სისუსტეებით წარმოქმნილი დანაშაულები, თუნდაც თანამდებობის ბოროტად გამოყენებით. მოქალაქის აბსოლუტურად გამჭვირვალე საკუთრების მიტაცება, რომელიც მოცემულია სახელმწიფო სესხის სახით და 2002 წლის ნაცვლად 14 წლის შემდეგაც გაუცემელია რაღაც დანაშაულებრივი არგუმენტების მოშველიებით. აი მიზანი, რომელიც მოითხოვს საერთო ძალისხმევას საქართველოში და არა მარტო საქართველოში.

ქართლოს ზაქარეიშვილი

საკუთარი ენა ღუპავს!..



● ხალხო, ტრასაზე დანა-ჩანგლიან აბრას თუ დაინახავთ, რესტორანი არ გეგონოთ. დავით ბაქრაძე რუსებს ებრძვის და წინასაარჩევნო კამპანიას ეწევა.

● როცა დეპუტატობის კანდიდატები რაღაცებს მპირდებიან და ამას ოთხ წელიწადზე გაწერენ, სულ ეს აზრი მომდის: მაგას ლავრენტი პავლოვიჩი ერთ კვირაში მოაგვარებდა!

● პაპუაშვილს ისე უყვარს მიშა, როგორც მე მარინა ბერიძე, მარა ერთი ადგილის შენახვა უნდა თბილად!

● მეოცნებეებო! – თქვენ ცუდად ხომ არ ხართ? ჯერ ერთი, დგას ეს ვირისთავი პაპუაშვილი (მე მაგას საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს ვერ ვუწოდებ) და ყველანაირად ამყრალებს სიტუაციას. ამყრალებს არა მარტო საქართველოში, არამედ გარეთ. გარეთ დასავლეთში და თქვენ წარმოიდგინეთ რუსეთშიც.

ამყრალებს ორი მიზეზის გამო:

1. დასავლეთმა ცნოს წინასაარჩევნო პერიოდი არალეგიტიმურად იმ მოტივით, რომ თვით საკონსტიტუციო სასამართლოზეა ზეწოლაო;

2. იმიტომ, რომ მას სექტემბერში ვადა გასდის და ნაცების სიაში უნდა ადგილი...

აფერისტ!!!

● ევრიკა!, როგორც იქნა, მივხვდი:

„ნანუკა“ ჟორჟოლიანი, მარინა ბერიძე, ნიკა გვარამია, მერსი სულხანიშვილი და სხვა „ცნობადი სახეები“ „ოცნებამ“ იყიდა!

სპეციალურად ალაპარაკებენ სირობებს, რომ ხალხმა ნაციონალურ მოძრაობას ხმა არ მისცეს!!!

● ახლა ერთ საინფორმაციო გადაცემას ვუყურე თავიდან ბოლომდე და კიდევ ერთხელ, სრულიად დავეთანხმე პეტრე გრუზინსკის: ერია თუ ბერია, ყველა დასაჭერია! – პოზიციაც, ოპოზიციაც, პარტიებიც, ფრაქციებიც, მინისტრებიც, ამბასადორიალებიც, ე.წ. ექსპერტებიც, საზოგადო მოღვაწეებიც (არასამთავრობოები ხომ არიან და არიან!), ტელევიზიებიც და მათი მაყურებლებიც!

თუ მთლად დასაჭერი არა, სადღაც, საიმედოდ გადასამალები, – რომ ვერც ვხედავდეთ და არც ვისმენდეთ ამდენ სისულელეს!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ



მატყუარა ნაციონალებო, სასწრაფოდ შეწყვიტეთ სახელმწიფო ინტერესების ხელყოფა!

იუსტიციის სამინისტრო პარტია ნაციონალური მოძრაობის მიერ გაკეთებულ განცხადებას პასუხობს, რომლის მიხედვითაც, რუსეთიდან დეპორტირებულთა საქმეზე, 2007 წლის 26 მარტს სტრასბურგის სასამართლოში რუსეთის წინააღმდეგ საჩივრის შეტანისას, ნაციონალურმა მოძრაობამ წარადგინა დაზარალებულთა შესაბამისი სია და დოკუმენტაცია, ხოლო მას შემდეგ, საქართველოს ინტერესების დაცვა არ ხდება, ქვეყნის ინტერესების შესაბამისად.

სამინისტრო აღნიშნავს, რომ ნაციონალური მოძრაობის განცხადების საპასუხოდ 6 აგვისტოს იუსტიციის სამინიტროს საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსმა ბექა ძამაშვილმა გააკეთა არგუმენტირებული განცხადება.

„მიუხედავად ამისა, ნაციონალური მოძრაობა აგრძელებს დეზინფორმაციას, სახელმწიფო ინტერესების ხელყოფას ჯერ კიდევ მიმდინარე სასამართლო დავაზე და ადასტურებს დეპორტაციის მსხვერპლი ჩვენი მოქალაქეებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას.

ამგვარი ქმედებების აღსაკვეთად, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ავრცელებს ქვემომოყვანილ ინფორმაციას საქმეში არსებულ შესაბამის მასალებთან დაკავშირებით.

2008 წლის 6 ივნისის წერილით, სტრასბურგის სასამართლოს შესაბამისი პალატის თავმჯდომარე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ავალებს, რომ 2008 წლის 11 ივლისამდე წარადგინოს დეტალური ინფორმაცია ყველა იმ დაზარალებულის შესახებ, რომლებზეც თავდაპირველ საჩივარსა და დამატებით მოსაზრებებში უთითებდა ქართული მხარე (იხ. 2008 წლის 6 ივნისის წერილი).

შესაბამისად, ნათელია, რომ თავდაპირველი საჩივრის წარდგენიდან თითქმის 15 თვის მანძილზე (2007 წლის 26 მარტი – 2008 წლის 6 ივნისი), წინა ხელისუფლებას დაზარალებულთა სრული სია სტრასბურგის სასამართლოსთვის არ წარუდგენია და ამ ინფორმაციის წარუდგენლობის გამო, მას დამატებითი ვადა მიეცა.

პალატის თავმჯდომარის ინსტრუქციის პასუხად, 2008 წლის 11 ივლისს, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სტრასბურგის სასამართლოს აწვდის სხვადასხვა მასალას და „რუსეთის ხელისუფლების მიერ დაზარალებულთა სიას“. მთავრობის თქმით, ეს სია მოიცავს გამოძიებულ პირთა პირად მონაცემებს და ქალაქების სახელებს, სადაც მათ მიმართ დარღვევები ჩაიდინეს (იხ. 2008 წლის 11 ივლისის წერილი).

2008 წლის 11 ივლისის ამ წერილისა და დანართების მიღებას სტრასბურგის სასამართლო იუსტიციის სამინისტროს 2008 წლის 21 ივლისს უდასტურებს შემდეგი ტექსტით:

„გვაქვს პატივი, დაგიდასტუროთ 2008 წლის 11 ივლისის წერილის მიღება ფაქსით და ასევე შემდეგი დოკუმენტების მიღება ელექტრონულად: დაზარალებულთა საიდენტიფიკაციო 118 დოკუმენტი (პასპორტები, დაბადების მოწმობები და ფოტოები)“ (იხ. 2008 წლის 21 ივლისის წერილი).

შესაბამისად, ნათელია, რომ ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს, სტრასბურგის სასამართლოს მხოლოდ 118 დაზარალებულის სია გადაეგზავნა და მაშინდელ ხელისუფლებას, რომელიც აცხადებდა, რომ ევროპულ სასამართლოში 4600 დაზარალებულის უფლებების დასაცავად იბრძოდა, არაფერი გაუკეთებია იმისათვის, რომ 118-ზე მეტი ჩვენი მოქალაქის მონაცემი შეეგროვებინა და გადაეცა ევროპული სასამართლოსთვის.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის მმართველობის პერიოდში, წინა ხელისუფლების დროს ჩადენილი ქვეყნისათვის დამაზიანებელი ამ ხარვეზის გამოსასწორებლად და მიუხედავად იმისა, რომ 2006 წლის მოვლენებიდან არაერთი წელი იყო გასული, ჩატარდა მასშტაბური სამუშაოები, რათა მიუხედავად ნაკლოვანი სიისა, დავა არა მხოლოდ 118 დაზარალებულის ნაწილში ყოფილიყო მოგებული, არამედ სრულად ყოფილიყო საქართველოს სასარჩელო მოთხოვნები დაკმაყოფილებული. 2014 წლის 3 ივლისს, დავა არსებითად მოგებით დასრულდა ყველა, 4600 დაზარალებულის ნაწილში (იხ. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, პარაგრაფი 135).

ამის შემდეგ, წინა ხელისუფლების მიერ დაშვებული ხარვეზის გამოსწორებაზე მუშაობა ისევ გაგრძელდა, ვინაიდან საქმის არსებითად დასრულების შემდეგ ევროპულ სასამართლოში დაზარალებულთა კომპენსაციასთან დაკავშირებული პროცედურა დაიწყო და დღესაც მიმდინარეობს. ამ პროცედურის ფარგლებში კი თითოეული დაზარალებულის ინდივიდუალურ მონაცემებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რაც ნაციონალური მოძრაობის დროს ევროპულ სასამართლოში წარდგენილი არ ყოფილა.

2014-2015 წლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტრო დაუკავშირდა არაერთ დაზარალებულს, რომელთაგან 345-მა თანხმობა განაცხადა, ყოფილიყო სიაში; 25-მა განაცხადა, რომ არ სურდა სიაში ყოფნა (კვლავ რუსეთში დაბრუნდა, და სხვ.), გარდა იმ შემთხვევისა, თუ ევროპული სასამართლო მათ დაიცავდა რუსეთის ხელისუფლების მხრიდან რეპრესიებისგან. 2016 წლის 1 აპრილს ეს შედეგები და სახელობითი სიები მიაწოდეს ევროპულ სასამართლოს, რომელსაც ეცნობა, რომ დაზარალებულებთან მუშაობა კვლავ მიმდინარეობდა (იხ. 2016 წლის 1 აპრილის წერილი).

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ასეულობით დაზარალებულის დოკუმენტაციაზე ამჟამადაც მუშობს, რისთვისაც საქართველოს მთავრობას ვადა 2016 წლის სექტემბრამდე აქვს.

აყენებს რა საზოგადოებას საქმის კურსში ზემოხსენებული პროცედურული დეტალების შესახებ, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო შეახსენებს ყველას, რომ საქმე ეხება ჯერ კიდევ მიმდინარე სასამართლო დავას და ნაციონალურ მოძრაობას მოუწოდებს, სასწრაფოდ შეწყვიტოს ქვეყნისა და სახელმწიფო ინტერესების ხელყოფა ცრუ განცხადებებისა და მცდარი ინფორმაციების განზრახ გავრცელების გზით“, – ნათქვამია იუსტიციის სამინისტროს განცხადებაში.

თუ ტრამპმა გაიმარჯვა, პუტინი მას საქართველოზე უარის თქმას მოსთხოვს

„დონალდ ტრამპი ვლადიმირ პუტინის აგენტი არ არის. არავინ იცის ზუსტად, მართლაც სურს თუ არა რუსეთის პრეზიდენტს დონალდ ტრამპის აშშ-ის პრეზიდენტად არჩევა და თუ იგი ამას ცდილობს, **რამდენად აქტიურად აკეთებს“,** – წერს გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ მიმომხილველი **ჯექსონ დილი**.

მისი აზრით, „ჭეშმარიტი პრობლემა იმაშია, რომ ორივეს – ვლადიმირ პუტინსაც და დონალდ ტრამპსაც საერთაშორისო ურთიერთობებისადმი ერთნაირი ნიჰილისტური მიდგომა აქვთ. მათ ერთად მსოფლიოს შეცვლა შეუძლიათ, თანაც ისე, რომ ბევრს არ მოეწონება“.

„ვლადიმირ პუტინმა ბიძგი მისცა საერთაშორისო თანამეგობრობაში უგულო, ცინიკურ და აბსოლუტურად უპრინციპო ოპორტუნიზმს. ვლადიმირ პუტინი ოსტატურად ახერხებს საერთაშორისო მოვლენების თავის სასარგებლოდ ინტერპრეტირებას და ამ მიზნით ერთ სიბრტყეზე დებს როგორც ყალბ, ასევე დოკუმენტებზე დაფუძნებულ ჟურნალისტურ მასალებს. ამგვარად, იგი ალტერნატიულ რეალობას ქმნის“.

„შესაძლოა, დონალდ ტრამპმა ვლადიმირ პუტინს ძალადობაში ვერ აჯობოს, მაგრამ მას არ ესმის პუტინის სიყალბე, ცინიზმი და ვიწრო ინტერესებისადმი ამორალური ერთგულება. აი, ესაა პუტინიზმის გამოვლენა და ეს ყველაფერი შეიძლება ამერიკულ ნიადაგზეც ვნახოთ“, – აღნიშნავს ავტორი და მიუთითებს, რომ თუ დონალდ ტრამპი აშშ-ის პრეზიდენტი გახდება, მას მოკავშირეები კი არა, კლიენტები ეყოლება – ისევე როგორც რუსეთს: „ვაშინგტონი ესტონეთს დაახლოებით ისე ეტყვის, როგორც მოსკოვი ეუბნება ბელორუსიას: გინდა ზესახელმწიფოსაგან დახმარება? მაშინ ჩვენი მხარდაჭერისათვის უნდა გადაიხადო. გააკეთებ იმას, რასაც შენგან მოვითხოვ, თუ არადა, გადაგაგდებ“.

დონალდ ტრამპი, ვლადიმირ პუტინის მსგავსად, გლობალური რეალობის თავისებური აღქმის სურათს ქმნის. მის წარმოდგენებში მექსიკელები საზღვარზე ნიაღვარივით მოდიან აშშ-ში. **„სავარაუდოდ, დონალდ ტრამპი ვლადიმირ პუტინის ოცნებას აღასრულებს: ნებას მისცემს რუსეთის პრეზიდენტს აშშ-ის პრეზიდენტთან თანასწორ სიტუაციაში იყოს და მსოფლიო გავლენის სფეროებად გაიყონ. შესაძლოა, ვლადიმირ პუტინმა დონალდ ტრამპს სთხოვს, რომ მან უარი თქვას უკრაინაზე, საქართველოზე, ეგვიპტესა და იორდანიაზე. არაა გამორიცხული, რომ ბიზნესმენმა დონალდ ტრამპმა ჩათვალოს – ამ ქვეყნებიდან მე მოგებას ვერ ვნახავო“.**

„რუსეთის ხელისუფლებაში 15-წლიანი ყოფნის დროს ვლადიმირ პუტინი ძალიან დაოსტატდა ტყუილში, ღალატში, საბოტაჟისა და ტაქტიკურ აგრესიაში. ვლადიმირ პუტინის ფონზე დონალდ ტრამპი დილეტანტად მოჩანს. შესაბამისად, თუ მსოფლიოს ორი დიდი ქვეყნის ხელისუფლებაში ტრამპი და პუტინი აღმოჩნდებიან, პუტინის გავლენა გადასძალავს და ეს აშშ-ის ინტერესებისთვის საზიანო შედეგებს მოიტანს“, – ასეთ პროგნოზს აკეთებს ჯექსონ დილი.

„The Washington Post“ (აშშ)

თურქეთ-რუსეთის დაახლოება ნატოსთვის საფრთხეს არ წარმოადგენს

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერის განცხადებით, თურქეთ-რუსეთის დაახლოება ნატოსთვის საფრთხეს არ წარმოადგენს.

ამის შესახებ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა გამოცემა Bild-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

„კარგია, რომ მას შემდეგ, რაც გასულ წელს თურქეთმა რუსული სამხედრო თვითმფრინავი ჩამოაგდო, ჩვენ დაახლოებას ვხედავთ. ამასთანავე, მე არ მჯერა, რომ ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა იმდენად მჭიდრო გახდება, რომ რუსეთი თურქეთს უსაფრთხოების სფეროში ისეთ პარტნიორობას შესთავაზებს, რომელიც ნატო-ს ალტერნატივა გახდება“, - განაცხადა შტაინმაიერმა. შეგახსენებთ, რომ დღეს თურქეთის პრეზიდენტი რეჯეპ თაიფ ერდოღანი და რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ერთმანეთს სანკტ-პეტერბურგში შეხვდებიან. ეს იქნება ორი ქვეყნის ლიდერების პირველი შეხვედრა მას შემდეგ, რაც გასული წლის ნოემბერში თურქულმა ავიაციამ რუსული სამხედრო თვითმფრინავი ჩამოაგდო.

ბაქოში აზერბაიჯანის, რუსეთისა და ირანის პრეზიდენტების შეხვედრა გაიმართა

რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის განცხადებით, ის კასპიის რეგიონში ახალ ენერგეტიკულ და სატრანსპორტო პროექტებზე ესაუბრება აზერბაიჯანელ და ირანელ კოლეგებს.

პუტინი 8 აგვისტოს, ცალ-ცალკე შეხვდა აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს და ირანის პრეზიდენტ ჰასან როჰანის ერთობლივი შეხვედრის დაწყებამდე. „რადიო თავისუფლების“ ინფორმაციით, მოსალოდნელია, რომ მოლაპარაკებები გააქტიურებს ახალი სატრანსპორტო დერეფნის შექმნის პროექტს. ცნობების თანახმად, იმედოვნებენ, რომ აზერბაიჯანსა და ირანზე გამავალი მარშრუტი ხელს შეუწყობს ვაჭრობას ტვირთების გადატანის მნიშვნელოვნად გაიაფების შედეგად.

„კოლოს“ სეზონი - 2016



ბოლო წლებია სულ უფრო მეტი ჩვენი თანამემამულე ზაფხულობით დასვენებას საზღვარგარეთ ამჯობინებს, სადაც გარკვეულ საფრთხეს მკბენარა მწერები წარმოადგენენ, რომლებიც ჩვენში გავრცელებული არ არიან. მაგალითად, ახლა ყველანი უფრთხიან კოლოების მიერ გადატანილ ეგრეთ წოდებულ ზიკას ვირუსს.

უნდა ითქვას, რომ დაავადებათა გადამტან მწერთა გავრცელების არეალი ბოლო დროს საკმაოდ გაფართოვდა. ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ, ვთქვათ, **ყვითელი მოსკიტებით გადატანილ სნეულებათა გამო,** მათ შორის, მალარიისგან, ფილიარიატოზისგან, ყვითელი ციებ-ცხელებისგან და სხვ., **უფრო მეტი ადამიანი დაიღუპა, ვიდრე ერთად აღებულ ყველა მსოფლიო ომში!**

მწერების ნაკბენები ალერგიას იწვევენ, განსაკუთრებით კი ბავშვებში – კბენის დროს კოღოს მდედრი იარაში ნერწყვს უშვებს, რომელიც გაღიზიანების გამომწვევ ალერგენებს შეიცავს, რის გამო კანზე ქავილის გამომწვევი წითელი ლაქები წარმოიშვება. ბავშვების კანი უფროსებისაზე გაცილებით თხელია, ამიტომაც ზოგს ნაკბენი ხანდახან სამ თვეზე მეტხანს ამჩნევია და უჩირქდება კიდეც! ამიტომაც მშობლები ზაფხულობით ძალიან ფრთხილად უნდა იყვნენ.

„დამცველი“ ლუდი

გულის დაავადებათა რისკის 25 პროცენტით შემცირება თურმე... ლუდს შეუძლია.

აღმოჩნდა, რომ სამკურნალო ეფექტი ფენოლური შენაერთების წყალობით მიიღწევა, რომლებსაც ძლიერი ანტიოქსიდანტური და ანთების საწინააღმდეგო მოქმედება აქვთ. მთავარი კი ისაა, რომ დღეში ამ სასმელის მხოლოდ ორი ქილის (660 გრამის) მოხმარებაა საჭირო.

სიმსუქნე და... ნათელი გონება

ხანდაზმულ ასაკში მოჭარბებული ტანკენარობა გონებასისუსტის საფრთხის შემცველია – ასეთია ინგლისელ მეცნიერთა მოულოდნელი დასკვნა. უწინ კი დემენციის საფრთხის ფაქტორად, პირიქით, ზედმეტი წონა ითვლებოდა.

მკვლევარებმა ბოლო ოცი წლის მანძილზე დაგროვილი უამრავი მონაცემი შეისწავლეს. აღმოჩნდა, რომ წონის ნაკლებობის დროს დემენციის რისკი 34, სიმსუქნის დროს კი 29 პროცენტს შეადგენს.

აქედან გამომდინარე, იქნებ სჯობდეს, რომ ასაკოვანი ხალხი ჭარბი წონის დაგდებას მაინცდამაინც არ ესწრაფვოდეს: ეჭვი არ არის, რომ რამდენიმე ზედმეტი კილოგრამის ტარება და ნათელი გონების შენარჩუნება ალტერნატივაზე ბევრად უკეთესია.

გარეგნობით და გულისხმიერებით გამორჩეულნი

ქალბატონებისთვის განკუთვნილი პოპულარული ჟურნალის „მარი კლერის“ რუსულენოვანი ვერსიის ერთ-ერთ ბოლო ნომერში გამოქვეყნებულ მასალაში ლაპარაკია იმის თაობაზე, თუ მსოფლიოს რომელ ქვეყნებში ცხოვრობენ ყველაზე გულისხმიერი და ლამაზი მამაკაცები.

სტატიის ავტორი წერს, რომ სერიოზულ მამაკაცებთან ურთიერთობებით დაქანცული განათლებული და წარმატებული რუსეთელი ქალბატონები, დასასვენებლად ზღვის კურორტები რომ ურჩევნიათ, იქ ხშირად გულღია და მხიარული ყმაწვილების მკლავებში ატარებენ დროს.

„ჩვენ ვნებიან, იდუმალ და ვაჟკაცურ მამაკაცებს... მოკლედ ისეთებს ვეძებთ, როგორებსაც მიჩვეულები არა ვართ“, – წერს ჟურნალისტი ქალი. შემდეგ კი იმ ქვეყნების სია მოჰყავს, სადაც კაცთა მოდგმის ძლიერი ნახევრის მსგავსი წარმომადგენლების შეხვედრის უფრო მეტი ალბათობაა.

ამდენად, რუსეთული ჟურნალის აზრით, მსოფლიოს ყველაზე გულისხმიერი და ლამაზი მამაკაცების მქონე ქვეყნების რიცხვში, **საქართველოს** გარდა, ასევე არიან **საბერძნეთი, ლიტვა, იტალია, თურქეთი, ეგვიპტე, ტუნისი, ინდოეთი და ჩინეთი**. სიის ჩამკეტი ქვეყნებია **გამბია, იამაიკა, დომინიკანის რესპუბლიკა** და **ავსტრალია**.

ქართველ მამაკაცებზე საუბრისას, ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ რუსეთელ მანდილოსნებს ისინი მუდამ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ და, ამდენად, ყოველგვარი სახელმწიფო და პოლიტიკური დაპირისპირებების მიუხედავად, საქართველოში მათ ყოველთვის მიესალმებიან და ეყვარებათ. ბოლოს კი იგი მის რეკომენდაციებს მიყოლილ ქალბატონებს ერთობ საგულისხმო რჩევას აძლევს: **ქართველ მამაკაცთან ერთი-ერთზე არაჩვეულებრივი ურთიერთობისას პოლიტიკაზე საუბარი არავითარ შემთხვევაში არ წამოიწყონ.**

არ ინერვიულოთ და... გახდით დედა

დეპრესია, თურმე, ორსულობის ალბათობას აქვეითებს.

დათრგუნვილ მდგომარეობაში მყოფი ქალების მიერ ბავშვის ჩასახვის ალბათობა, ოპტიმისტ მანდილოსნებთან შედარებით, 38 პროცენტით ნაკლებია. ეს იმასთანაა დაკავშირებული, რომ დეპრესია უარყოფითად მოქმედებს თირკმელზედა ჯირკვლებისა და ჰიპოთალამუსის მუშაობაზე, რომლებიც ჰორმონების

გამომუშავებაზე არიან პასუხისმგებელნი, ეს კი მენსტრუალურ ციკლს არღვევს.

იარეთ ჩქარა!

სიარულის ტემპსა და სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის ურთიერთკავშირის არსებობა დაადგინეს ამერიკელმა მეცნიერებმა პიტსბურგის უნივერსიტეტიდან.

მათ 35 ხანდაზმული თანამოქალაქის სიარულის ტემპი გააანალიზეს და აღმოჩნდა, რომ ქალების მხოლოდ მესამედმა, ვინც ნელა სიარულს ამჯობინებდა, იცოცხლა 75 წელზე მეტი. სამაგიეროდ, სწრაფი სიარულის მოყვარულთა 91 პროცენტმა 85 წელს მიაღწია.

მსგავსი შედეგი დადგინდა მამაკაცებშიც. თურმე სიარულის ტემპს ადამიანი ქვეცნობიერად ირჩევს: თუ იგი ჯანმრთელია, სწრაფად დადის, ხოლო თუ გულის ან სახსრების პრობლემები აქვს, ნელა სიარულს ამჯობინებს.

საჭმლის ფერსაც გააჩნია

კვების სპეციალისტების განცხადებით, ყველაზე სარგებლიანი საჭმელი იასამნისფერია.

ბადრიჯნის, ლობიოს, მოცვის, ლურჯი მოცვის უნიკალური თვისებები სამკურნალო ეფექტის მქონე მცენარეული პიგმენტების – ანტოციანების მაღალი შემცველობითაა განპირობებული. ისინი ამაგრებენ სისხლძარღვთა კედლებს, ხელს უშლიან ცუდი ქოლესტერინის წარმოქმნას, აქვთ ანტივირუსული თვისებები.

გსმენიათ, რომ...

● **წელიწადში** 250 დღის განმავლობაში უგანდაში ელჭექები ბობოქრობენ. ამ მხრივ ეს ყველაზე „არამშვიდი“ ადგილია დედამიწაზე.

● **1960 წლის** 22 მაისს ჩილეს სამხრეთში რიხტერის შკალით 9,5 ბალის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა, რასაც ცუნამი მოყვა. თავად ჩილში, იაპონიაში, ჰავაისა და ფილიპინების კუნძულებზე 23 ათასი კაცი დაიღუპა, ზარალმა კი 675 მილიონი დოლარი შეადგინა.

● **ყოველწლიურად,** მაისში, ჰონდურასის ქალაქ იოროში მრავალსაათიან წვიმას უამრავი ცოცხალი თევზი მოყვება. ამ მოვლენის მიზეზები დღესაც უცნობია. აღსანიშნავია, რომ ყველა თევზი... ბრმაა, რის საფუძველზე მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ისინი სადღაც სიახლოვეში გამდინარე დიდი... მიწისქვეშა მდინარის ბინადარნი არიან.

● **ამერიკის** შეერთებულ შტატებში კლდოვან და აპალაჩის მთებს შორის მდებარე ჩრდილოეთ ტეხასში, ოკლაჰომაში, კანზასსა და ნებრასკაში ყოველ მაისს ტორნადოები „სტუმრობენ“, რომელთა დიამეტრი, ჩვეულებრივ, 300-400 მეტრია, თუმცა ზოგჯერ რამდენიმე კილომეტრს აღწევენ.

● **ვანუატუს** სისხლის სამართლის კოდექსში 151 მუხლია, რომელთა თანახმად სხვა პირისთვის ზიანის მიყენების მიზნით... ჯადოსნობა აკრძალულია. სასჯელი კი – ორი წლით თავისუფლების აღკვეთაა.

● **საუდის** არაბეთში შეუღლებათა 40-60 პროცენტი ამა თუ იმ სიახლოვის ნათესავებს შორის ხდება, მათ შორის 30 პროცენტი – ბიძაშვილ-მამიდაშვილ-დეიდაშვილებს შორის. ამის შედეგად, ქვეყანაში განვითარების დარღვევით დაბადებულთა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

● **უცნობი** კულტურის მიტოვებული ქალაქის ნანგრევები, რომელიც X-XIV საუკუნეების პერიოდს მიეკუთვნება, აღმოაჩინეს ჰონდურასის ჯუნგლებსა და მანგრის ჭაობებში. ვარაუდით ეს, შესაძლოა, ლეგენდარული „თეთრი, ანუ მაიმუნების ღმერთის“ ქალაქი იყოს. მისი ადგილმდებარეობა გასაიდუმლოებულია, ქვეყნის პრეზიდენტმა კი განაცხადა, რომ მომავალი გათხრების ადგილს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები დაიცავენ.

● **დანიელმა** მეცნიერებმა არქეოლოგიური გათხრების წარმოების ახალი მეთოდი შეიმუშავეს, რომლის დროს არტეფაქტების დაზიანების რისკი ნულამდეა შემცირებული. ახალი მეთოდის მთავარი მუღამი კი მუშა ძალად... თხუნელების გამოყენებაა. საქმე ის არის, რომ სოროების მოწყობისას თხუნელები წვრილ საგნებს ზედაპირზე აგდებენ, რაც მეცნიერებს იმის შესაძლებლობას მისცემს, გაიგონ, თუ რა არის მიწის შიგნეთში. ცოტა ხანში თხუნელებს თავიანთი „არქეოლოგიური“ კვალიფიკაციის დამტკიცება ქალაქ ვიბორგის მახლობლად შუა საუკუნეების ციხესიმაგრის გათხრების დროს მოუწევთ.

● **ერთმანეთთან** ურთიერთობისას, ცხოველები ადამიანზე არანაკლებ ეფექტიან კავშირგაბმულობის ხერხებს იყენებენ. მაგალითად, ხმების კრებულით დელფინები ერთმანეთს თავიანთ სქესს, ასაკსა და ჯანმრთელობის მდგომარეობას ატყობინებენ. მეორის დაძახებისას დელფინები „მოსაუბრის“ ხმას ბაძავენ; ყვავები თანამოძმეებთან ხმის ამოუღებლად ურთიერთობენ, რისთვისაც სხვადასხვა პოზებს იღებენ, თავს სხვადასხვა კუთხით ხრიან; მხტუნავა-მაიმუნი თანამოძმეებს მტაცებლის ადგილსამყოფელის შესახებ – ჰაერშია ის, მიწაზე თუ ხეზე – გარკვეულ ხმათა თანამიმდევრობით ატყობინებს.

არც ერთ მევენახეს ჩაუბარებელი ყურძენი არ დარჩება!

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია და სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი სამანიშვილი ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებელი კომპანიების ხელმძღვანელებს შეხვდნენ. **შეხვედრაზე დარგში არსებულ მიღწევებსა და გამოწვევებზე ისაუბრეს და 2016 წლის რთვლის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით შემუშავებული ხელშემწყობი ღონისძიებები განიხილეს.**

როგორც ოთარ დანელიამ აღნიშნა, რთვლის პროცესის ორგანიზებულად წარმართვისთვის საქართველოს მთავრობა სრულ მზადყოფნაშია. რთვლის პროცესში დაცული იქნება როგორც მევენახეების, ისე მეწარმეების ინტერესები. მიმდინარე წელს ყურძენის მიღებას 100-მდე ღვინის კომპანია განახორციელებს. არცერთ მევენახეს ჩაუბარებელი ყურძენი არ დარჩება.

„წელს საწარმოო გადამუშავებისთვის დაახლოებით 150 ათას ტონამდე ყურძენს ველოდებით. მნიშვნელოვანია, რომ დარგი მაქსიმალურად მზად იყოს ყურძნის მისაღებად. მევენახეობა-მეღვინეობის დარგის ხელშეწყობის კუთხით ბოლო 4 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება. ჩვენი მიზანია, საერთოდ გამოვიდეთ სუბსიდიის მიდგომებიდან, როდესაც დარგი ამის შესაძლებლობას მოგვცემს. ფაქტია, რომ დღეს ხელშეწყობა კვლავ საჭირო“, – აღნიშნა ოთარ დანელიამ.

მინისტრის განმარტებით, ღვინის ექსპორტის ზრდის პარალელურად, საერთაშორისო ბაზარზე ფიქსირდება ღვინის სარეალიზაციო ფასის შემცირება. შესაბამისად, მევენახე გლეხების ინტერესის გათვალისწინებით, ყურძნის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობამ „რთველი 2016“-ის ფარგლებში სუბსიდიის გაცემის გადწყვეტილება მიიღო. ოთარ დანელიას განცხადებით, გასული წლის მსგავსად, სახელმწიფო სუბსიდია გაიცემა პირდაპირ მევენახეებზე და არა ღვინის მწარმოებელ კომპანიებზე. ღვინის კომპანიებში ჩაბარებულ ყურძენზე სუბსიდია გაიცემა შემდეგი ოდენობით:

კახეთის რეგიონში

1 კგ. რქაწითელზე – 45 თეთრი;
1 კგ. კახური მწვანეზე – 45 თეთრი;
1 კგ. საფერავზე – 2 ლარი;

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო-სვანეთის რეგიონში
მუჯურეთული/ალექსანდროული – 2 ლარი;

როგორც ოთარ დანელიამ აღნიშნა, წარმოების გაზრდის ხელშეწყობის მიზნით, მიმდინარე წელს ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებელი კომპანიებისათვის გაგრძელდება შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში სესხების გაცემა საბრუნავი საშუალებების მიზნობრიობით.

ყურძნის გადამმუშავებელი საწარმოებისათვის ფერმერებისაგან ყურძნის შეძენის მიზნით, შეღავათიანი აგროკრედიტის მაქსიმალური მოცულობა განისაზღვრა 10 მლნ ლარით, არაუმეტეს 15 თვის ვადით.

ყურძნის გადამმუშავებელი საწარმოებისთვის, რომლებიც ყურძენს შეისყიდიან საბრენდე სპირტის წარმოების მიზნით, გაიცემა შეღავათიანი აგროკრედიტი არაუმეტეს 15 მლნ ლარის ოდენობით. სესხის მაქსიმალური ვადა განისაზღვრა 3 წლის ვადით. შეხვედრაზე სოფლის მეურნეობის მინისტრმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახელმწიფო არ განსაზღვრავს ყურძნის ღირებულებას, არ ერევა ფასების რეგულაციებში, რადგან ფასს არეგულირებს ბაზარი.

რთვლის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით, საკოორდინაციო შტაბი თელავში განთავსდება. გასული წლის მსგავსად ამოქმედდება ცხელი ხაზი - 1505 და სპეციალური ვებგვერდი, სადაც შესაძლებელი იქნება დაინტერესებულმა პირებმა 24 საათის განმავლობაში მიიღონ საჭირო ინფორმაცია.

გაფართოებულ ფორმატში გამართულ შეხვედრას სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეები ლევან დავითაშვილი და იური ნოზაძე, ღვინის მწარმოებელი 70-მდე კომპანიის წარმომადგენელი და ღვინის ინდუსტრიაში დასაქმებული პირები ესწრებოდნენ.

სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა გუდაურში

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიამ“ და საქართველოს სამთო გამყოლთა ასოციაციამ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის დაფუძნების შესახებ შეთანხმებას მოაწერეს ხელი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება დაბა გუდაურში გაიხსნება და უზრუნველყოფს ნაციონალური სტანდარტების შესაბამისი კვალიფიციური კადრების მომზადებას სამთო-სათავგადასავლო ტურიზმის და მთასთან დაკავშირებული სხვა მაღალი რისკის მქონე პროფესიების სრული სპექტრისთვის.

სკოლა მოამზადებს საფეხმავლო და სამთო გამყოლებს, სათხილამურო ინსტრუქტორებს, სასიმაღლო სამუშაოების და საზვავე უსაფრთხოების სპეციალისტებს, ასევე განხორციელდება სამთო-სათავგადასავლო ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა გადამზადება და სერტიფიცირება.

სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა ითანამშრომლებს სამთო გამყოლთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციასთან, ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ნაციონალურ ფედერაციებთან (შვეიცარიის სამთო გამყოლთა ასოციაცია, გერმანიის სამთო გამყოლთა ასოციაცია, კანადის სამთო გამყოლთა ასოციაცია) და ანალოგიური პროფილის პროფესიულ საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან (მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტი, საფრანგეთის თხილამურების და ალპინიზმის ნაციონალური სკოლა და ა.შ.).

შედეგად, რეგიონში გაჩნდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც დაადგენს უსაფრთხოების, მომსახურების და კომპეტენციის მაღალ სტანდარტებს, უზრუნველყოფს ახალგაზრდების წახალისებას მაღალანაზღაურებადი, გრძელვადიანი დასაქმების პერსპექტივით ეროვნულ, რეგიონულ და საერთშორისო შრომის ბაზრებზე და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს უსაფრთხო და ხარისხიანი სათავგადასავლო ტურიზმის განვითარებაში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

დანართი №1 (4 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2016 წლის „09 აგვისტოს“
№01-3/245 ბრძანებით

N	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	საბადო ან გამოვლინება	კატეგორია	ლიცენზიის მოქმედების ვადა	მოსაპოვებელი წიაღისეულისმოცულობა მ3/წელიწადში	საწყისი ფასი (ლარი)	ბე-ს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარი)
1	ქ.ბათუმი, მეჯინისწყალის I-ლი ჩიხი N12	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	7 300 $მ^3$/წელიწადში	83.34	216.67
2	ქ.ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი N102	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	3 650 მ3/წელიწადში	41.67	208.34
3	ქ.ბათუმი, ჩხაიძის N3	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	2 000 $მ^3$/წელიწადში	22.84	204.56
4	ქობულეთი, აღმაშენებლის N275	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	29 200 $მ^3$/წელიწადში	333.36	266.68
5	ქ.ბათუმი, მეჯინისწყალის დასახლება.	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	N 1 ჭაბურღილიდან 21 900$მ^3$, N-2 ჭაბურღილიდან 36 500$მ^3$	667	335
6	ქ.ბათუმი, კახაბრის N48	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	1 825 $მ^3$/წელიწადში	21	204.20
7	ქ.ბათუმი, მეჯინისწყალის დასახლება	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	1 095 $მ^3$/წელიწადში	12,60	202,52
8	ქ. ბათუმი. ფრიდონ ხალვაშის N380	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	1 825 $მ^3$/წელიწადში	21	204,20
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება			აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო				
საიდენტიფიკაციო ნომერი			245444844				

სოფლის დახმარების პროგრამა საქართველოში

საქართველოში სოფლის დახმარების ახალი პროგრამა იწყება. წლეულს აგვისტოში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მოქმედმა ხელმძღვანელმა საქართველოში შომბი შარპმა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ორწლიანი პროგრამის დაწყების შესახებ. პროგრამის სრული ბიუჯეტი 6.8 მილიონი ლარია (2.63 მილიონი ევრო). აქედან 95 % დაფინანსებულია ევროკავშირის, ხოლო 5 % – აჭარის მთავრობის მიერ.

პროგრამის ერთ-ერთი მიზანია, შემუშავდეს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია როგორც მთლიანად საქართველოსთვის, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისთვის და შემდგომში ხელი შეეწყოს ამ სტრატეგიების პრაქტიკულ განხორციელებას.

ეს ორწლიანი ინიციატივა ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და განხორციელდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ფარგლებში, რომლის მეორე ეტაპი საქართველოში ერთი თვის წინათ დაიწყო.

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა (ENPARD) საქართველოში 2013 წლიდან ხორციელდება. საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული ასოცირების ხელშეკრულების თანახმად, საქართველო იღებს ვალდებულებას „ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობასა და სოფლის განვითარებას პოლიტიკისა და საკანონმდებლო ბაზის პროგრესული დაახლოების გზით“, ასევე, ცოდნის გავრცელებითა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებით სოფლის განვითარების პოლიტიკაში.

სოფლის მეურნეობის განვითარების დახმარების კუთხით, ევროკავშირი ქვეყნის მთავარი დონორია. დახმარების მიზანი 2014-2017 წლების სტრატეგიულ ჩარჩო-ხელშეკრულებაში შემდეგნაირადაა ფორმულირებული: „სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ზრდა, მცირე ფერმერების ცოდნის გაუმჯობესება და მათთვის უახლესი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობა, ასევე, მათი როლის ზრდა კომერციულ ფერმერულ საქმიანობაში“.

ამ მიზნის მისაღწევად ევროკავშირის მთავარი პოლიტიკური ინსტრუმენტი სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ევროპის სამეზობლო პროგრამაა (ENPARD). ENPARD-ის მიერ სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსების სხვადასხვა ფორმით ხორციელდება. მათ შორისაა პირდაპირი საბიუჯეტო დახმარება, ტექნიკური მხარდაჭერა და არასამთავრობო ორგანიზაციების საგრანტო დაფინანსება. **2013-2018 წლებისთვის ENPARD-ის ბიუჯეტი საქართველოში 102 მილიონ ევროს შეადგენს. აქედან 2013 – 2016 წლების ბიუჯეტის საერთო მოცულობა 52 მილიონი ევრია.** პროგრამის პირველი ეტაპის ამოცანები იყო: **სოფლის მეურნეობის სფეროში ჩართული ინსტიტუტების ეფექტიანობის გაუმჯობესება, სოფლად კოოპერაციის ხელშეწყობა – მცირე ფერმერთა კოოპერაციის გაძლიერება, არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დივერსიფიკაცია და სოფლად დასაქმებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.**

საინტერესოა, რომ პროგრამა აფინანსებს არა მხოლოდ ცალკეული დოკუმენტების მომზადებას, არამედ უშუალოდ ფერმერზე ორიენტირებულ პროგრამებსა და გრანტებს. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ დახმარების შესახებ საზოგადოების ფართო ფენებს ჰქონდეთ ინფორმაცია და მისით სარგებლობა სოფლად მცხოვრები და დასაქმებული ადამიანების დიდმა ნაწილმა შეძლოს.

ნინო ევგენიძე

მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10
სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით.
	ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს ლიცენზიის გამცემის საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; ზ)ჭაბურღილებზე მოსაწესრიგებელია თავმორთულობა და ჰერმეტიზაციას; თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 09 აგვისტოდან დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 12 სექტემბერს დღის 18.00 საათზე
აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 12 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 12 სექტემბერს დღის 18.00 საათზე
სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

განახლებული კოლხეთის ეროვნული პარკი

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილი კოლხეთის ეროვნულ პარკში იმყოფებოდა, სადაც ვიზიტორთა ცენტრში ახლადგახსნილი საგამოფენო დარბაზი დაათვალიერა.

საგამოფენო დარბაზში ვიზიტორებს საშუალება აქვთ გაეცნონ ადგილობრივი იხტიოფაუნის ნიმუშებს და მიიღონ ინფორმაცია კოლხეთის ეროვნული პარკის მნიშვნელობის, მისი ბიომრავალფეროვნების, ღირსშესანიშნაობებისა და ტურისტული სერვისების შესახებ. ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ორი სათევზაო ადგილიც მოეწყო, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვისაა ადაპტირებული.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ცნობით, ეროვნული პარკი კოლხეთის საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიანი ეკოსისტემების დაცვისა და შენარჩუნების მიზნითაა შექმნილი. პარკის ადმინისტრაცია ვიზიტორებს სპორტულ თევზჭერას, ფრინველებზე დაკვირვებასა და ეკო-საგანმანათლებლო და სანაოსნო ტურებს სთავაზობს.

GEM FEST-ის ფესტივალს ანაკლიაში მედპერსონალი მოემსახურება

ჯანდაცვის სამინისტრო ანაკლიაში, ელექტრონული მუსიკის ფესტივალზე (GEM FEST), მოძრავ ამბულატორიასა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ორ ეკიპაჟს განათავსებს. შესაბამისი აღჭურვილობის მქონე მოძრავ ამბულატორიაში ერთი ექთანი იქნება, რომელიც ფესტივალის სტუმრებს სამედიცინო მომსახურებას ადგილზე გაუწევს. რეგიონული სასწრაფო სამედიცინო დახმარების ორი ეკიპაჟი კი სხვადასხვა მონაკვეთზე განთავსდება და საჭიროების შემთხვევაში, პაციენტამდე მისვლას, პირველადი დახმარების გაწევასა და ჰოსპიტალიზებას უზრუნველყოფს.

ელექტრონული მუსიკის ფესტივალი 10 აგვისტოს გაიხსნება. მოძრავი ამბულატორია და რეგიონული სასწრაფო სამედიცინო დახმარების ორი ეკიპაჟი ადგილზე ფესტივალის დასრულებამდე დარჩება.

◎ ქართველთა ოლიმპიური ტაბლო

ნავსი მესამე დღეს გატყდა

ლაშა შავდათუაშვილი ბრინჯაოს პრიზიორია!

რიო-დე-ჟანეიროში გრძელდება ოლიმპიური თამაშები. ძიუდოისტთა ასპარეზობის მესამე დღეს საქართველოს დელეგაციის ყულაბაშიც ჩაჩხრიალდა პირველი ბრინჯაოს მედალი – იგი გორელმა ფალავანმა, 66 კილოში ლონდონის ოლიმპიადის გამარჯვებულმა ლაშა შავდათუაშვილმა მოიპოვა, ამჯერად 73 კილოგრამ წონით კატეგორიაში.

ქართველი მოჭიდავისთვის 8 აგვისტო განსაკუთრებული დღეა – 8 წლის წინათ, როცა ლაშა შავდათუაშვილი 16 წლის იყო, სწორედ ავბედით 8 აგვისტოს რუსებმა მისი მშობლიური გორი და ქალაქის შემოგარენი დაბომბეს. კარალეთელ ჭაბუკს დღესაც თვალწინ უდგას ცეცხლწაკიდებული და ნანგრევებად ქცეული სახლები, ძაძებიანი დედები ცრემლიანი თვალებით. ყველაფერ ამას რომ იხსენებს, ალისფერი გადაურბენს ხოლმე სახეზე. ვერც რიოს ოლიმპიურ ტატამზე მოთოკა ემოციები – კვარცხლბეკისკენ მიმავალ გზაზე რუსი მეტოქე დენის იარცევი გონგამდე 15 წამით ადრე ტატამს რომ გააკრა ბეჭებით, თითით კიმონოზე გამოსახულ საქართველოს ხუთჯვრიან დროშაზე მიანიშნა, მერე იგივე თითი მის ფერხთით განრთხმული რუსი ფალავნისკენ გაიშვირა. ამ ჟესტით მან მთელ მსოფლიოს უთხრა თავისი სათქმელი...



ახლა კი უშუალოდ ლაშას ორთაბრძოლებზე: უკვე გაუწყეთ, რომ წინა დღეებში საქართველოს სახელით მოასპარეზე ორი ქართველი ძიუდოისტი კვარცხლბეკს მიღმა აღმოჩნდა. ნავსი ოლიმპიურ ჩემპიონს უნდა გაეტეხა და ასეც მოხდა - პირველ წრეში დასვენებულმა გორელმა ფალავანმა მეორეში კუბელ მაგდიელ ესტრადას ორი ვაზარით სძლია, შრილანკელი ჩამარა რეპიალაჯე იპონით ჩამოიშორა გზიდან. მეოთხედფინალში ჩვენებური იაპონელ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ შოჰეი ონოს დაუპირისპირდა – ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენელს, რომელსაც ორი წელიწადია, ორთაბრძოლა არ წაუგია და რიოშიც ისე ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, ქულაც არ დაუკარგავს. შავდათუაშვილმა მრისხანე მეტოქეს მედგარი წინააღმდეგობა გაუწია. იაპონელი ძალიან ძლიერი ფალავანია და თავისი კოზირი ბოლომდე გამოიყენა: ლაშას დისტანციაზე ეჭიდავებოდა, ახლოს არ უშვებდა, ჩავლებას ასწრებდა, ხელს უთიშავდა. ერთ მომენტში მისი წამიერი მოდუნებით ისარგებლა და ვაზარი აართვა, რაც გასამარჯვებლად საკმარისი აღმოჩნდა – გამოცდილ იაპონელს პაექრობის სასურველ დასასრულამდე მიყვანა არ გასჭირვებია.

დამამშვიდებელში ლონდონის ოლიმპიადის გამარჯვებულმა შესანიშნავად იჭიდავა: როგორც აღვნიშნეთ, ჯერ რუს იარცევს აჯობა იპონით, შემდეგ ბრინჯაოს მედლისთვის პაექრობაში პირველი ევროპული თამაშების ჩემპიონი საგი მუკი (ისრაელი) დაამარცხა იპონით და მესამე ადგილი დაიკავა. ლაშა შავდათუაშვილმა გორელი ლეგენდის – შოთა ჩოჩიშვილის (1972 წლის თამაშების ჩემპიონი და 1976 წლის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი) შედეგი გაიმეორა. 24 წლის ასაკში ოლიმპიური თამაშების „ოქრო“ და „ბრინჯაო“, პლუს ევროპის ჩემპიონობა – მსგავსი შედეგი რჩეულთა ხვედრია. ლაშა შავდათუაშვილიც სწორედ ასეთი გახლავთ. სპორტული კარიერის ბოლომდე მას ჯერ კიდევ არაერთი მწვერვალის დაპყრობა შეუძლია. ვიმედოვნებთ, რომ ასეც იქნება.

73 კილოში პირველი ადგილი სწორედ ლაშას მძლეველმა იაპონელმა ონომ დაიკავა – ფინალში მან აზერბაიჯანელ რუსტამ ორუჯოვს იპონით სძლია. ქალთა 57 კილოგრამ წონით კატეგორიაში 2013 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა რაფაელა სილვამ (ბრაზილია) გაიმარჯვა.

ლაშა დიდია

ქართველ მოჭიდავეთა ასპარეზობის განრიგი

საქართველოს ოლიმპიურ გუნდში ყველაზე მეტი წარმომადგენელი ჭიდაობის ნაკრებს ჰყავს, რომელიც 11 სპორტსმენით არის წარმოდგენილი. გთავაზობთ ქართველ ფალავანთა ასპარეზობის გრაფიკს საათების მიხედვით.

14 აგვისტო, ზურაბ დათუნაშვილი 75 კგ.
17.00-20.00. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, წინასწარი შეხვედრები 59, 75 კგ.
23.00-02.00. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, რეპეშაჟი და ფინალური ბლოკი 59, 75 კგ.

15 აგვისტო, რობერტ ქობლიაშვილი 85 კგ და იაკობ ქაჯაია 130 კგ.
17.00-20.00. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, წინასწარი შეხვედრები 85, 130 კგ.
23.00-02.00. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, რეპეშაჟი და ფინალური ბლოკი 85, 130 კგ.

16 აგვისტო, შმაგი ბოლქვაძე 66 კგ და რევაზ ნადარეიშვილი 98 კგ.
17.00-20.00. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, წინასწარი შეხვედრები 66, 98 კგ.
23.00-02.00. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, რეპეშაჟი და ფინალური ბლოკი 66, 98 კგ.

19 აგვისტო, ვლადიმერ ხინჩეგაშვილი 57 კგ და იაკობ მაქარაშვილი 74 კგ.
17.00-20.00. თავისუფალი ჭიდაობა, წინასწარი შეხვედრები 57, 74 კგ.
23.00-02.00. თავისუფალი ჭიდაობა, რეპეშაჟი და ფინალური ბლოკი 57, 74 კგ.

20 აგვისტო, სანდრო ამინაშვილი 86 კგ და გენო პეტრიაშვილი 125 კგ.
17.00-20.00. თავისუფალი ჭიდაობა, წინასწარი შეხვედრები 86, 125 კგ
23.00-02.00. თავისუფალი ჭიდაობა, რეპეშაჟი და ფინალური ბლოკი 86, 125 კგ.

21 აგვისტო, ზურაბ იაკობიშვილი 65 კგ და ელიზბარ ოდიკაძე 97 კგ.
15.30-18.15. თავისუფალი ჭიდაობა, წინასწარი შეხვედრები 65, 97 კგ.
19.45-22.15. თავისუფალი ჭიდაობა, რეპეშაჟი და ფინალური ბლოკი 57 74 კგ.

კობა კობახიძე

◎ ფიასკოს შემდეგ

ჯოკოვიჩი: „ეს იყო ყველაზე მწარე მარცხი ჩემს ცხოვრებაში“

როგორც გაუწყეთ, მსოფლიოს ნომერ პირველი ჩოგბურთელი ნოვაკ ჯოკოვიჩი რიოს ოლიმპიადის პირველსავე რაუნდში რეიტინგის 150-ე ნომერთან, არგენტინელ ხუან მარტინ დელ პოტროსთან 6:7, 6:7 დამარცხდა. მატჩის შემდეგ ნოვაკმა ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა.

„ეს არის ყველაზე მწარე მარცხი ჩემს ცხოვრებაში. ემოციურად ჩემთვის რთულია, დიდი ხანია ოლიმპიადას ველოდები. როგორც ჩანს, ოლიმპიადა არის სრულიად სხვა ისტორია. მნიშვნელოვან გათამაშებებში დელ პოტრო საოცრად თამაშობდა და მინდა მას მივულოცო გამარჯვება. რა თქმა უნდა, იმედგაცრუებული ვარ და თავს ძალიან ცუდად ვგრძნობ, მაგრამ ერთის მხრივ ვარ ბედნიერი, რომ ჩემი მეგობარი ტრავმების და გამოტოვებული წლების შემდეგ ისევ კონდიციებშია და შეუდარებელ ჩოგბურთს თამაშობს“ – განაცხადა ჯოკოვიჩმა.

ჯოკოვიჩი გახდა მეორე ჩოგბურთელი, რომელიც ოლიმპიადაზე პირველ ნომრად იყო განთესილი და პირველსავე რაუნდში დამარცხდა, აქამდე მსგავსი რამ მარატ საფინმა სიდნეის ოლიმპიადაზე „მოახერხა“. ჯოკოვიჩი ზოგადად ტურნირს პირველ წრეში პირველად 2009 წელს ბრისბენში გამოეთიშა და იმ წელსვე მონტე კარლოს მასტერსზე ირჟი ვესელისთან წააგო.

ბადრი იაშვილი

◎ ლენიონერები

მერებაშვილი: გოლიც, საგოლე პასიც

პოლონეთის ჩემპიონატში გიორგი მერებაშვილმა გოლი და საგოლე პასი მიითვალა. პლოცკის „ვისლას“ ქართველმა შემტევმა „რუხთან“ გასვლაზე (2:2) ჯერ თანაგუნდელს გაატანინა, მერე კი, მე-80 წუთზე თავად შეაგდო, თუმცა, მისი გოლი გადამწყვეტი ვერ გამოდგა – მეტოქემ ბოლო წუთზე გაათანაბრა.

გოლს რაც შეეხება: გიორგი გარღვევაზე გაიყვანეს, მეკარე გამოვარდა და ვარდნაში ცდილობდა მოგერიებას, მაგრამ ქართველმა იმარჯვა და მისი ფეხიდან შევარდა ბურთი კარში.

შეგახსენებთ, რომ მერებაშვილი ამ ზაფხულს გადავიდა პლოცკის „ვისლაში“.

რუსეთის პრემიერლიგაში მოსკოვის „სპარტაკმა“ სამარის „კრილიას“ 1:0 აჯობა. მოსკოველთა განაცხადში არ იყო ჯანო ანანიძე, რომელსაც კუნთის პრობლემა აქვს და, სავარაუდოდ, რამდენიმე დღეში იქნება მწყობრში, „კრილიაში“ კი მშვენიერი მატჩი ჩაატარა გიორგი ლორიამ - არაერთი რთული ბურთი მოიგერია.

„სპარტაკს“ ორ ტურში 6 ქულა აქვს, ლორიას გუნდს – არცერთი.

ლევან ყენიას „სლავიამ“ დაიწყო **ჩეხეთის** ჩემპიონატი და „ზლინს“ შინ 2:2-ზე გაეყარა. ყენია სასტარტოში იყო და 79-ე წუთზე შეცვალეს.

დანიაში „ესბიერგი“ – „ორჰუსი“ 2:2 დასრულდა. მათე ვაწაძე კვლავაც არ ყოფილა ორჰუსელთა განაცხადში და, დიდი ალბათობით, კლუბსაც შეიცვლის.

ბელარუსში ბატე-მ სტუმრად 2:0 მოუგო სოლიგორსკის „შახტიორს“ და წლეულსაც არ ჰყავს კონკურენტი: 13-ქულიანი ჰანდიკაპით ლიდერობს. ბატე-ს შემადგენლობაში 87-ე წუთზე გამოჩნდა ვაკო გვილია.

გიორგი ზოთაძე

◎ კალათბურთი

გასოლმა ბელოვს გადაასწრო

ესპანეთის საკალათბურთო ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა პაუ გასოლმა ოლიმპიურ თამაშებზე დაგროვებული ქულების მიხედვით მე-4 ადგილზე გადაინაცვლა.

გასოლმა ხორვატეთთან წაგებულ (70:72) მატჩში 26 ქულა ჩააგდო და ჯამში 493 ქულა მოუგროვდა. შედეგად, ესპანელმა საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილ მოთამაშე სერგეი ბელოვს (475) გადაასწრო.

ახლა პაუს წინ მხოლოდ ლეგენდარული ბრაზილიელი ოსკარ შმიდტი (1008), ავსტრალიელი ენდრიუ გაზე (789) და ასევე ბრაზილიელი ვლამირ მარკესი (537) არიან.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ახალი წიგნები

ახალი სახელმძღვანელო მელიორაციის დარგში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტზე სასოფლო-სამეურნეო მელიორაციის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესორ გივი გავარდაშვილის ავტორობით სულ ახლახან გამოიცა სახელმძღვანელო სასოფლო-სამეურნეო მელიორაციის მიმართულებით — „ირიგაცია, დრენაჟი, ეროზია“. ჩვენს ქვეყანაში ამ მიმართულებით ბოლო სახელმძღვანელო 50 წლის წინ დაიბეჭდა პროფესორ ივ. ჩხენკელის მიერ.



სახელმძღვანელო „ირიგაცია, დრენაჟი, ეროზია“, შედგენილია ამჟამად მოქმედი აკრედიტებული პროგრამის „სასოფლო-სამეურნეო მელიორაციის“ მიხედვით და გათვალისწინებულია (სტუ) სამშენებლო ფაკულტეტის ჰიდროინჟინერიისა და აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის აგროინჟინერიის ბაკალავრებისათვის, აგრეთვე აგროეკოლოგიის, საინჟინრო ეკოლოგიისა და ჰიდრომელიორაციის დარგში მომუშავე მაგისტრების, დოქტორანტებისა და ახალგაზრდა მეცნიერ-თანამშრომლებისათვის. იგი ასევე შეიძლება გამოიყენოს სოფლის მეურნეობისა და საბუნებისმეტყველო დარგების, მათ შორის, გარემოს დაცვის სპეციალისტებმა და დაინტერესებულმა ინჟინერ-სპეციალისტებმა.

სახელმძღვანელოს სამეცნიერო რედაქტორი გახლავთ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი **ოთარ ნათიშვილი,** ხოლო რეცენზენტი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი **ედუარდ კუხალაშვილი**.

სახელმძღვანელო, რომლის მოცულობაც 410 გვერდია, შედგება 21 თავისგან, სადაც განხილულია ქვეყნის სტრატეგიული დარგის — სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტული ქვემიმართულების — მელიორაციის სპეციალისტების აღზრდისათვის საჭირო ყველა თანამედროვე მიღწევები, რაც დაგროვილია მსოფლიოს სხვადასხვა წამყვანი ქვეყნების (აშშ, ისრაელი, ჩინეთი, გერმანია, პოლონეთი, რუსეთი და სხვა) მეცნიერებაში ბოლო 50 წლის განმავლობაში.

სახელმძღვანელო, როგორც მის დასახელებაშია მოცემული, შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან: ირიგაცია, დრენაჟი და ეროზია, სადაც დეტალურად არის მოცემული მელიორაციის სამივე მიმართულების ახლებური ხედვა, მისი პრობლემები: ნიადაგი-მცენარე-წყალი და ამ საკითხების გადაწყვეტის გზები თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ნიადაგის თვისებების გაუმჯობესებისა (თანამედროვე ირიგაციის მიმართულებები — დაწვიმება, წვეთური მორწყვა, ფერტიგაცია და ა.შ.) და მისი ეროზიისაგან დაცვის სხვადასხვა საინჟინრო-ბიოლოგიური ინოვაციური მიმართულებები, კომბინირებული სამიარუსიანი სადრენაჟო სისტემის ახალი კონსტრუქციები (დამოწმებული საქართველოს პატენტით) და მისი გადაწყვეტის საინჟინრო გზები, რაც პროფ. გ. გავარდაშვილს უკვე დაპროექტებული და განხორციელებული აქვს პრაქტიკაში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მე-20 და 21-ე თავებში განხილული საკითხები, სადაც პროფ. გ. გავარდაშვილს USAID „ისა და NNALAG-ას დახმარებით საქართველოს თითოეული მუნიციპალიტეტის მიხედვით მოცემული აქვს კლიმატის პროგნოზი სამი პერიოდისათვის: 2015-2020, 2021-2050, და 2071-2100 წწ და გაანგარიშებული მელიორაციისა და ტყის რესურსის რისკები, მცენარის წყალმოთხოვნილების, ნიადაგისა და წყლის რესურსების მდგომარეობისა და კლიმატის ცვლილების ფონის გათვალისწინებით.

ავტორს მაღალ მეცნიერულ დონეზე აქვს წარმოდგენილი თითოეული მუნიციპალიტეტისათვის პრობლემის მიმოხილვა და აქტუალობა, განხილული აქვს არსებული სამეცნიერო კვლევები, კლიმატის მგრძნობიარობის ინდიკატორები და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული პრობლემის გადაწყვეტის სოციო-ეკონომიკური რისკების შემცირებაზე მიმართული რეკომენდაციები.

წიგნში განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ ირიგაციის, დრენაჟის, ეროზიისა და ტყის რესურსების რისკები ავტორს გაანგარიშებული აქვს მაღალი სიზუსტით და კვლევის შედეგები დატანილი - ფერად რუკებზე, რაც სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერებისთვის უფრო მიმზიდველსა და საინტერესოს ხდის. სახელმძღვანელო მთლიანად წარმოდგენილია ფერადი ილუსტრაციებით.

სახელმძღვანელო „ირიგაცია, დრენაჟი, ეროზია“ მომზადდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს არჩილ ფრანგიშვილის უშუალო დავალებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტთა მიერ 2012 წლის 24-28 სექტემბერს დაფიქსირებული საგანმანათლებლო პროგრამის „სასოფლო-სამეურნეო მელიორაცია“ ახალი აკრედიტაციის ვადამდე სახელმძღვანელოს მომზადების შესახებ რეკომენდაციის საფუძველზე.

სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ ავტორი განსაკუთრებულ მადლობას უხდის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს არჩილ ფრანგიშვილს, რომლის მხარდაჭერითაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაიარა აკრედიტაცია და სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტზე 2012 წლიდან ამოქმედდა „სასოფლო-სამეურნეო მელიორაციის“ პროგრამა პროფესიულ, ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სწავლების მიმართულებით.

ავტორი მადლობელია სახელმძღვანელოს რედაქტორის, აკადემიკოს ოთარ ნათიშვილის იმ სასარგებლო რჩევებისა და შენიშვნებისთვის, რომლის გათვალისწინებამ სახელმძღვანელოს შესძინა უფრო მაღალი მეცნიერული დონე. ასევე, ავტორი მადლიერია ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ედუარდ კუხალაშვილისა იმ შრომისთვის, რაც მან გასწია წიგნის რეცენზირებისთვის.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტზე 2012 წლიდან სასოფლო-სამეურნეო მელიორაციის მიმართულებით დღემდე პროფესორ გივი გავარდაშვილის ხელმძღვანელობით ორმა ახალგაზრდა დოქტორანტმა: თამრიკო სუპატაშვილმა და მაკა გუგუჩიამ, შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სადოქტორო საგრანტო პროექტის ფინანსური მხარდაჭერით, ასევე მაგისტრანტმა ვალერიან მჭედლიძემ წარმატებით დაიცვეს შესაბამისი საძიებო აკადემიური ხარისხი, რაც სახელმძღვანელოში - „ირიგაცია, დრენაჟი, ეროზია“ მოყვანილი ინოვაციური პროექტების განხორციელების კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითია.

დავით კერესელიძე.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ის აკადემიური საბჭოს წევრი

სანთელი

შეძრწუნებული ვარ თავზარდამცემი ცნობით

ნოდარ მოდებაძის

მკვლელობის შესახებ. ვუსამძიმრებ საქართველოსა და ქართულ სასპორტო სამყაროს, გარდაცვლილის ოჯახსა და ახლო მეგობრებს.

რეზო ამაშუკელი.

თენგიზ ქავთარაძე, გრიშა ონიანი, ზაურ ფხალაძე, მიხეილ სალაძე, თემურ მურღულია, ჯემალ ჯიქურაული, თამაზ მაჭავარიანი ღრმა მწუხარებით იუწყებიან კაცთომყვარე ვაჟკაცის

ნოდარ არჩილის ძე მოდებაძის

ტრაგიკულად დაღუპვას და სამძიმარს უცხადებენ ქალბატონ ლალის, აჩიკოს, ლექსოს და ზურას.

კარგია თუ ცუდი? - აჭარაში სამორინეები სოკოებივით მრავლდება

2020 წლის ბოლომდე აჭარაში სამორინეების რაოდენობა კიდევ 10 სამორინით გაიზრდება. დღეისთვის კი რეგიონში 13 სამორინე ფუნქციონირებს.

როგორც აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში განმარტავენ, 2015 წლისათვის მოქმედი 11 სამორინედან ბათუმის ბიუჯეტში მიღებულმა სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელმა 16.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც ბათუმის ბიუჯეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან მიღებული ჯამური შემოსავლის (20.2 მლნ ლარი) 81%-ს შეადგენს.

„ამასთან, სამორინეებიდან მიღებულ მოსაკრებლების ჯამურ მაჩვენებელში 51% შეადგინა სათამაშო მაგიდების მოსაკრებელმა, 46% — სათამაშო აპარატების მოსაკრებელმა, ხოლო დანარჩენი 3% - სხვა სახის სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელმა.

2015 წლისათვის სამორინეებში სათამაშო მაგიდების რაოდენობა იყო 138, (ზრდა წინა წელთან მიმართებაში - 77%), ხოლო სათამაშო აპარატების რაოდენობა — 1 064 (ზრდა წინა წელთან მიმართებაში - 115%). გარდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალური ბიუჯეტისა, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ჩარიცხვა ხდება ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალურ ბიუჯეტებში.

2015 წელს აჭარის რესპუბლიკურ ბიუჯეტში რეგიონში მოქმედი სამორინეების მიერ გადახდილმა თანხებმა 7.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 57%-ითაა გაზრდილი.

სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით, 2015 წელს სამორინეებში დასაქმებული იყო 2 500-მდე ადამიანი.

ასევე, 2015 წელს სამორინეებში ვიზიტიორების რაოდენობამ 600 000-ზე მეტი კაცი შეადგინა, საიდანაც 78%-ს არარეზიდენტი ვიზიტიორები წარმოადგენენ.

ავარია ტრაგედიით დასრულდა

თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე დიდი სიჩქარით მოძრავი მოტოციკლი ქალს დაეჯახა. მოტოციკლის მძღოლი, 30 წლამდე მამაკაცი ადგილზევე დაიღუპა, მძიმედ დაშავებული ქალი კი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანა.

როგორც მედიანიუსს სასწრაფო დახმარების სამსახურში განუცხადეს, სასწრაფო დახმარების ექიმებს მამაკაცი გარდაცვლილი დახვდათ, ქალი კი უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა.

სარფში ნარკომანი აიყვანეს

შსს-ს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად 1978 წელს დაბადებული ნ. შ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით სარფის სასაზღვრო გამტარი პუნქტის მიმდებარე ტერიტორიაზე დაიკავეს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 50 აბი „ექსტაზი“ ამოიღეს, რომელიც, ექსპერტიზის დასკვნით, 7,4071 გრ ნარკოტიკულ საშუალება „მდმა“-ს შეიცავს. შსს-ს ცნობით, ნ. შ. ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

დედაქალაქი

ქული „ტარზანი“ თბილისის ზღვაზე

ქალაქის შემოგარენში არსებულ წყალსაცავებს – ლისისა და კუს ტბებს – თბილისის ზღვა მოსახლეობის დასვენება-გართობის

პოტენციალით, ორივეს ერთად აღებულს აღემატება. ზაფხულის ხვატში დედაქალაქში დარჩენილი მოსახლეობისთვის ამ უაღრესად მიმზიდველ ადგილთა შორის პირველი აქამდე უდავოდ კუს ტბა იყო, თუმცა ბოლო დროს სათანადო ინფრასტრუქტურა ლისის ტბაზეც ინტენსიურად ვითარდება. ამდენად, გასაკვირი არ უნდა იყოს ის ყურადღება, რომელსაც ჩვენი გაზეთი თბილისის ზღვის ზონის მიმართ იჩენს და ყოველწლიურად იქ არსებულ მდგომარეობას აშუქებს.

შარშან გულისტკივილით ვწერდით, რომ ზაფხულის პერიოდისთვის მოუწყობელი იყო როგორც პლაჟის ზონა, ასევე ერთიანად ზღვის უბნის როგორც სატრანსპორტო, ასევე ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა. ახლა კი სიამოვნებით აღვნიშნავთ იმას, რომ დედაქალაქის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის მეცადინეობით, გაიმართა ზღვის უბნის სამანქანო გზები, ასევე გაკეთდა ფეხის მოსიარულეთათვის ზღვაზე რამდენიმე უსაფრთხოების მოაჯირიანი საგანგებო გადასასვლელი, რომელიც სამ ათეულზე მეტი ხნის მანძილზე სამოძრაოდ, უბრალოდ, სახიფათო იყო. გადასასვლელების პარალელურად დაიგო ქვით ლამაზად მოპირკეთებული საფეხმავლო ბილიკები, რომლებითაც ფერდობს გადასული კაცი პირდაპირ წყალს ადგება. დასასვენებლად ასულ ხალხს კი იქ სასეირნო წყლის ველოსიპედები, საწოლები, მოსაჩრდილებლები და სავარძლები

ხვდება. ეგ კია, ფასები, ცოტა არ იყოს, „იკბინება“, და, ვფიქრობთ, ურიგო არ იქნება, თუკი ქალაქის მესვეურები ამ გარემოებას ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენ – თითო სავარძლის მოხმარებაში ყოველდღიურად აღებული თუნდაც 3 ლარი დედაქალაქის ხაზინას ნამდვილად არ გაამდიდრებს. ფასის ერთ ლარამდე დაყვანა კი ისედაც უაგარაკო ხალხისთვის კარგი შეღავათი იქნება.

ცალკეა აღსანიშნავი, რომ თბილისის ზღვაზე ასული კაცისთვის ათწლეულების მანძილზე უდიდესი პრობლემა ანტისანიტარია იყო. ამ მხრივ მერიის დასუფთავების სამსახურს ნამდვილად მადლობა ეთქმის: თუკი წინა წლებში ნაგვის ბუნკერები პლაჟიდან ისე შორს იდგა, რომ ნამუსიანი კაცი ნაგავს უფრო შინ გაიყოლებდა, ვიდრე ამ სანაგვემდე მიიტანდა, ახლა ნაგვისთვის განკუთვნილი კოხტა ყუთები ზედ პლაჟზეა დადგმული, ამდენად, სისუფთავის დაცვაც პრობლემა აღარ არის.

მოწესრიგებულია დამსვენებელთა წყალზე უსაფრთხოება, რომელსაც სათანადოდ (კატარღებით, რადიოკავშირით) აღჭურვილი ცამეტი მაშველი უზრუნველყოფს, გაბმული თოკით გამოყოფილია თითოეულზე განპირობებული სექტორი, ასევე დამონტაჟებულია ტივტივები, რომლებითაც მოცურავეთათვის უსაფრთხო ზონაა აღნიშნული.

ყველაფერი ეს, ცხადია, კარგია, თუმცა, სამწუხაროდ, ისევე, როგორც ეს ხშირად გვიწევს ხოლმე, საქებარი წერილი მაინც იმ საკრალური „თუმცათი“ დაწყებული აბზაცით უნდა დავასრულოთ, რომელიც, მოგეხსენებათ, მანამდე ნათქვამს მთლად ხაზს თუ არ უსვამს, ყოველ შემთხვევაში დიდად აფერმკრთალებს.

ჰოდა, სწორედ ამ „თუმცაზე“ მოგახსენებთ:

ისევე, როგორც წინა წლებში, თბილისის ზღვის პირას დღესდღეობითაც მოუგვარებელია სასმელი წყლის, მინერალური და გამაგრილებელი სასმელების, ნაყინის, სწრაფი კვების პროდუქტებით მომარაგების, გასახდელებისა და საპირფარეშოების პრობლემა. ამ მხრივ ერთადერთი გამონაკლისია ლუდი, რომელსაც ისევ საკუთარი ინიციატივით „თვითდასაქმებული ინდმეწარმეები“ ყიდიან. მაგრამ ეს, მოგეხსენებათ, მერიის მოხელეთა მხრიდან საქმისადმი კეთილსინდისიერ და ხალხის საჭიროებისადმი გულისყურიან მიდგომას სულაც არ ნიშნავს...

თუ რა დისკომფორტს უქმნის ხალხს ამ „თუმცას“ შემდეგ ყველა აღნიშნული ნაკლოვანება, ამის გამოცდა თავად დედაქალაქის მერიის იმ პასუხისმგებელ მუშაკებს შეუძლიათ, რომლებსაც ერთი უქმე დღის გასატარებლად რედაქცია ზღვაზე ეპატიჟება.

ხოლო თუ დაგვთანხმდებით, ბატონებო, ისიც გაითვალისწინეთ, რომ ბევრნი თუ ვიქნებით, საბანაოდ გამოსაწყობად დიდი დრო დაგვჭირდება, რადგან ზღვაზე ერთადერთი ტანსაცმლის გასახდელ-ჩასაცმელი კაბინაა, რომლისთვისაც ვიღაც აშკარად გონებამკვირცხლად მოაზროვნეს „ტარზანი“ დაურქმევია, ისიც მხოლოდ ერთ კაცზეა გათვლილი...

ოთარ ტურაბელიძე.

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22) ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ანეკდოტები

მწვრთნელი ამშვიდებს წაგებულ მოკრივეს:

– ნუ დარდობ, მერე რა, რომ წააგე!.. სამაგიეროდ, რომ იცოდე, მესამე რაუნდში შენს მოწინააღმდეგეს რა გული გაუხეთქე – იმას ეგონა, რომ შემოაკვდი!..

* * *

– რას მეტყვით ექიმო, ღვინის სმა შეიძლება?

– შეიძლება, შეიძლება!

– აბა, საქმე კარგადაა?

– არა საქმე ძალიან ცუდადაა!

* * *

– ბიჭო, რაც ჭიჭიკია თვითმფრინავიდან ხტება ხომ, პარაშუტი ჯერ ოც კაცზე ნაკლებზე არ გოუშლია!

* * *

– ექიმო, მიშველეთ, მეხსიერება დამეკარგა.

– როდის დაგეკარგათ?

– რა დამეკარგა, ბატონო?

* * *

საბავშვო ბაღში:

– რა გატირებს, თამუნია?

– მიხომ მცემა-ა-ა!..

– რატომ გცემა მაგ საზიზღარმა?

– ასე მითხრა – ყველა სიდედრი ბავშვობაში უნდა დახოცოს კაცმაო!.. ა-ა-ა!..

* * *

– ექიმო, ძალიან ავად ვარ!

– კეთილად ბრძანდებოდეთ! ყოჩაღად იყავით! შემდეგი...

* * *

– სად უმალავს ჭიჭიკია ფულს ცოლს?

– სადა და იმფერ ადგილას, მისდღემჩი რომ არ ჩეიხედავს – მისი ხელჩანთის მარჯვენა შიდა განყოფილებაში!

ინტერნეტიდან

ევა, სერჟიკა და ანარიკას ცოლი

– სერჟიკ, ჰაი სერჟიკ, სადა ხარ შე ბემურაზო, ამოტოლა ხანი გეძახი!

– აქა ვარ მამიჯან, ტელევიზორს ვუყურებდი და სუჯიხსა ვსჭამდი. რა გინდა ვა?

– რა რა მინდა კაცო, აქ მოდი რა მაგარი ვინმე უნდა გაჩვენო. მოგეწონება ხო ვიცი შენა!

– ვინ მამეწონება მამიჯან? ისევ ქალის გარიგება უნდა მიქნა? არ მინდა ელი!

– ნახე შე ბემურაზო, ჩვენიანი ქალი დაუბეჭდიათ გაზეთში. „ამერიკანსკი მოდელი“ გამხდარა. ევა ბაღდასარიანი გაგიგონია?

– ვააა, მართლა კარგი რამე სჩანს ხო იცი შენა. თან როგორ ჩვენებურად იცქირება! ამის „იმასმქმნელი“ კაცი ხომ იტყვის, თავს პატივი ვეციო?!

– მე რას გეუბნებოდი შვილოჯან? აი, თუ მოიყვან, ისეთი ქალი უნდა მოიყვანო, რომა, დაღამება გიხაროდეს და გათენება გეზარებოდეს მაშ! აბა ჩვენი ანარიკას ცოლი მოსაყვანი იყო? იმას რომ შევხედავ, ეგრე მგონია კამო საფლავიდან აღდგამეთქი!

– ისე, შენც კაი ოღრაში ვინმე ხარ მამიჯან. მოგეწონა ეს ევა არა? გემოვნება კი გქონია ისე ხო იცი!

– ამას უყურეთ ერთი ვაა! მე რო ქალების ამბები ვიცოდი, შენა მაშინა მიჩმახებდი, „მამიჯან ველოსაპეტი მიყიდეო“.

– მერე გეყიდა შენცა, რა იქნებოდა!

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.345; ევრო - 2.604;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.069;
100 რუბლი - 3.612; თურქული ლირა - 0.787;
აზერბაიჯანული მანათი - 1.44;
1000 სომხური დრამი - 4.93

ამინდი 10 აგვისტოსთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +17,	დღე +37
მთიანი რაიონები -	ღამე +13,	დღე +34
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +19,	დღე +36
მთიანი რაიონები -	ღამე +16,	დღე +34
თბილისი:	ღამე +21,	დღე +36

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE